საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 115 (660) | ხუთშაბათი, 3 ივნისი, 1993 | ფასი 10 კუპონი

ნუხელ შეერთყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 1 ივნისს მდინარე გუმისთაზე განლაგებულ ფრონტის ხაზზე მოწინააღმდეგე მთელი დღის განმავლობაში ისროდა ნაღმსატყორცნებსა და ავტომატურ იარაღს ქართული პოზიციების მიმართულებით. 21 საათიდან კი აფხაზური მხარე კვლავ გააქტიურდა და მთელი ღამე ცეცხლი არ შეუწყვეტია. ქართული მხარე ამ პროვოკაციას არ პასუხობდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო ოჩამჩირის რაიონში. მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ ისროდა ქართული პოზიციებისაკენ სოფლების ლაბრას, ტამიშისა და კინდღის მიმართულებით. ქართველთა მხარეს არიან დაჭრილები.

იოსებ გობეჩია.

• • •

აფხაზეთის ხსნის კომიტეტის განცხადება

ვ. არძინბას იმ ბოლო განცხადებასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ირღვეოდეს აფხაზების უფლებები საქართველოს რესპუბლიკაში, რაც შეუძლებელს ხდის აფხაზეთის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნას, აფხაზეთის ხსნის კომიტეტი აცხადებს: ჯერ ერთი, ვ. არძინბა და მისი დაჯგუფება ეს სულაც არ არის აფხაზი ხალხი, და მით უმეტეს აფხაზეთი. ამიტომ მათ არა აქვთ უფლება ილაპარაკონ აფხაზი ხალხის, და მით უმეტეს, მთელი აფხაზეთის მოსახლეობის სახელით.

მეორე, აფხაზი ხალხის, აფხაზეთის მოსახლეობის და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის მომავალი წყდება რეფერენდუმისა და აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ნების გამოხატვის გზით.

• • •

1 ივნისს ჩატარდა სომხეთის სამხედრო საბჭოს დელეგაციის, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ადგილზე ვიზიტის შედეგებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. ვიზიტის მიზანი ქართული მხარის მიერ მაკონტროლებელ ტერიტორიაზე მცხოვრები სომხების მდგომარეობის შესწავლა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთიანი მოქმედების კოორდინაცია, აგრეთვე, ოჩამჩირის რაიონის სომხურ სოფელ ათარას მოსახლეობის ევაკუაცია იყო. დელეგაციის წევრების აზრით, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფელი ლაბრა, რომელსაც ორივე მებრძოლი მხარე აკონტროლებს. პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ სოხუმში არ არსებობს რეალური ხელისუფლება, რომელიც შეძლებს მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას. დელეგაციის წევრები ორჯერ შეხვდნენ თამაზ ნადარეიშვილს, რომელმაც მათ თანამშრომლობა აღუთქვა. ვიზიტის დროს გადაწყდა სომხეთის რესპუბლიკის მხოლოდ წარმომადგენლობის სოხუმში გახსნის საკითხი, რომელიც უახლოეს დროში დაიწყებს ფუნქციონირებას.

გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ აფხაზეთიდან მოსახლეობის ევაკუაცია არ აწყობს არც სომხეთს და არც აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს. უმრავლესობას აფხაზეთის მხარის მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიაზე. ორგანიზებულია სომხური რაზმები, რომლებიც სომხურ სოფლებს იცავენ.

იბერია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

საქართველოს სახელმწიფო დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით პეკინში

პეკინი, 2 ივნისი. (იტარ-ტასის კორ. პავლე სპირინი). ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მეთაურობს საქართველოს სახელმწიფო დელეგაციას, დღეს ჩინეთის დედაქალაქში ოფიციალური ვიზიტად ჩამოვიდა. მოელიან, რომ პეკინში უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგი იქნება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის შესახებ ოცდახუთი დოკუმენტის ხელმოწერა.

ვიზიტის წინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ თბილისში განაცხადა, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მისი აზრით, არის ორმხრივი ეკონომიკური კონტაქტების დამყარება და განვითარება. იგი მთავარი თემა იქნება მომავალ მოლაპარაკებაზე.

ეს არის ედუარდ შევარდნაძის პირველი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა. წინათ, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, იგი ოთხჯერ ეწვია ჩინეთს და მიიღო დენ სიაოპინმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

ბოლო დღეების მოვლენები მოწმობს, რომ, თუმცა დაიწყო აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი, გუდაუთის მხარემ ვერ დათმო თავისი აგრესიული ზრახვები და ახლაც იმედოვნებს, რომ მის მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ პრობლემას ძალის გამოყენებით გადაჭრის. კერძოდ, 31 მაისს, საღამოს აფხაზეთის შეიარაღებულ ფორმირებათა დაჯგუფებამ მორიგი იერიში მიიტანა საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებზე ოჩამჩირის რაიონში ნაღმსატყორცნებისა და ავტომატური იარაღის გამოყენებით, რის შედეგადაც, დაიჭრა 5 სამხედრო მოსამსახურე. 1 ივნისს 11 საათსა და 30 წუთზე მდინარე გუმისთის საზღვარზე საქართველოს ქვედანაყოფებს დაუშინეს ცეცხლი ჯავშნოსანი მანქანებიდან, ტანკებიდან, ნაღმსატყორცნებიდან.

გუდაუთელ სეპარატისტთა ეს მოქმედება მოწმობს, რომ მათ არ სურთ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალი გზების ძებნა და ქალაქების ტყვარჩელისა და სოხუმისათვის ჰუმანური დახმარების გაწევის დასახულ აქციას ჩაშლის საფრთხეს უქმნიან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, რომელიც მტკიცედ ადგას მიმდინარე წლის 14 მაისის მოსკოვის მორიგებებით განსაზღვრულ კურსს, შეშფოთებას გამოთქვამს, მოვლენათა ასეთი განვითარების გამო და აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის გარანტებს — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ. ნ. ელცინსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ე. ა. შევარდნაძეს სთხოვს განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი ასეთი ფაქტების განმეორების აღსაკვეთად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

ქ. სოხუმი. 1993 წლის 1 ივნისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანძურის მოვლისა და დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული საგანძურის შენახვის, დაცვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, უპირველეს ღონისძიებათა დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის **ვადგენ:**

1. საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიამ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად მოამზადოს რესპუბლიკაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კულტურის შესახებ კანონთა პაკეტი პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიამ მონაწილეობა მიიღოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მიერ სახელმწიფო საგადასახადო სისტემის შესახებ კანონის მომზადებაში კულტურის დარგის შეღავათიანი დაბეგვრის, საინვესტიციო და საბაჟო ფონდების მის სასარგებლოდ დაბეგვრისა და იმ ორგანიზაციებისა და პირების შეღავათიანი დაბეგვრის გასათვალისწინებლად, რომლებიც რეგულარულ ფინანსურ დახმარებას უწევენ კულტურისა და ხელოვნების ობიექტებს.

3. დაევალოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული საგანძურის გამტაცებელთა მიმართ სასჯელის გამკაცრების ღონისძიებების შემუშავება;

4. კულტურის სამინისტრომ:

— ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის სამუშაოების დაჩქარებისა და გეგმაზომიერად წარმართვის მიზნით რესპუბლიკის მთავრობას ერთი თვის ვადაში წარუდგინოს მეცნიერებათა აკადემიასთან, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მემატიანესთან და ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან ერთობლივად შემუშავებული ეკონომიკურად დასაბუთებული ღონისძიებების პროგრამა კონკრეტული ობიექტებისა და სამუშაოთა შესრულების ვადების აღნიშვნით დადგენილების მისაღებად;

— რესპუბლიკის მასშტაბით მუზეუმებისა და კულტურის ობიექტების მატერიალური ბაზების პრობლემის მოგვარების მიზნით შეადგინოს და ქალაქების მერიებთან, რაიონების გამგეობებთან და ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით, წარუდგინოს მთავრობას რესპუბლიკაში არსებული ისტორიული და არქიტექტურული მნიშვნელობის მქონე იმ შენობათა ნუსხა, რომელთა სამუზეუმო ან კულტურის სხვა ობიექტად გამოყენება მიზანშეწონილია მათი ბალანსიდან ბალანსზე გადაცემისათვის.

— გააძლიეროს კონტროლი სახელმწიფო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და კერძო პირებთან დაცული ეროვნული მემკვიდრეობის და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მოძრავი ძეგლების აღრიცხვისა და მათ გადაადგილებაზე. განახორციელოს უფრო ქმედითი ღონისძიებები ამ ძეგლების საზღვარგარეთ გატანა-დაბრუნებაზე:

5. ეროვნული საგანძურის, ძველი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების, მუსიკალური საკრავების, ბეჭდურ პროდუქციაზე და სხვა ფასეულობათა შემოწმებასა და საზღვარგარეთ გატანაზე ლიცენზიების გაცემა მოხდეს მხოლოდ კულტურის სამინისტროს მიერ.

6. დაევალოს ინფორმაციისა და დაზვერვის ბიუროს, გააძლიეროს ღონისძიებები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კონტრაბანდული გზით ეროვნული საგანძურის გატანის აღკვეთის მიზნით.

7. რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტმა კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე არ დაუშვას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ეროვნული საგანძურის გატანა;

8. რესპუბლიკის მთავრობამ:

— მიიღოს სათანადო დადგენილება ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმების და კულტურის სხვა ობიექტების მიერ დამოუკიდებელი მეურნეობრივი საქმიანობის წარმოების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს მათი დებულებების შესაბამისობაში მოყვანა;

— აკრძალოს „მუზეუმების დაარსების შესახებ“ მოქმედი წესის დარღვევით ახალი მუზეუმის გახსნა.

9. ფინანსთა სამინისტრომ მეორე და შემდგომი კვარტალების ბიუჯეტის პროექტების განხილვისას გაითვალისწინოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული ეროვნული საგანძურის მოვლისა და დაცვის პროგრამის მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა დაფინანსების კულტურის სამინისტროსათვის გამოყოფის საკითხი.

10. დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს — კულტურის სამინისტროსა და კულტურის ადგილობრივი მართვის ორგანოების შეკვეთის საფუძველზე შეუფერხებლად უზრუნველყოს კულტურის ობიექტები შეიარაღებული პოლიციის დაცვის სადღეღამისო პოსტებითა და სიგნალიზაციით;

11. დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და რესპუბლიკის პროკურატურას — მიიღონ მკაცრი ზომები ეროვნული საგანძურის გატაცების ფაქტების ოპერატიული გამოძიებისათვის. უზრუნველყონ შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებლობა გამოძიების დროული დამთავრებისათვის.

12. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, ქალაქებისა და რაიონის მერიებსა და გამგეობებს:

— შექმნილი ექსტრემალური და კრიმინოგენური სიტუაციის გამო, მოახდინონ დროებით სამუზეუმო უნიკალური ექსპონატების ევაკუირება ქალაქებისა და რაიონების ბანკების ან ლომბარდების საცავებში და უზრუნველყონ ამ საცავების დამატებითი საპოლიციო დაცვა.

— პარალელურად გაატარონ სათანადო ღონისძიებები მუზეუმებისა და მათი ფონდების შენობების დაცვისათვის საჭირო ტექნიკური გამაგრებებისა და დაცვითი ტექნიკის დასანერგავად ადგილობრივი პოლიციის საგუშაგოების დაცვის სამსახურებთან ერთად.

— ერთი თვის ვადაში კულტურის სამინისტროს წარმოუდგინონ შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი, ხოლო შემდეგ, პერიოდულად — ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, სახელმწიფო მეთაურთან ანგარიშგებისათვის.

13. ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგებლებს, დაეკისროთ პერსონალური პასუხისმგებლობა მათ დაქვემდებარებაში არსებული ეროვნული საგანძურის (მუზეუმები, უძრავი ძეგლები, არქივები, ბიბლიოთეკები) დაცვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებების სასწრაფოდ გატარებაზე.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1993 წლის 1 ივნისი

ნომერში

- სისხლისღვრის შეწყვეტა აკრძალულია! — 2
- უკეთურთ დანდობა არ ექნებათ! — 3

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში მცირე ენერგეტიკის განვითარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი ენერგიის მწვავე დეფიციტის პირობებში მცირე ენერგეტიკის განვითარება დღევანდელი დღის აქტუალურ პრობლემებს განეკუთვნება.

მცირე ენერგეტიკის პოტენციურ შესაძლებლობათა შეუფასებლობამ და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მისი განვითარების უგულებელყოფამ უარყოფითი შედეგი გამოიღო — პრაქტიკულად შეწყდა მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, უფრო მეტიც, აღდგენასა და რეკონსტრუქციას მოითხოვს არსებული ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა, არ არსებობს ორგანული საწვავის გადამმუშავებელი და მის ბაზაზე მომუშავე არც ერთი საწარმო, აუთვისებელია მოძიებული თერმული წყლების უდიდესი ნაწილი, მინიმალურადაც არ არის გამოყენებული არატრადიციული ენერგეტიკის (მზის, ქარის, ბიოლოგიური და ა. შ.) შესაძლებლობანი. რესპუბლიკაში თითქმის არ იწარმოება მცირე ენერგეტიკული ობიექტებისათვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობანი. აღნიშნული ჩამორჩენის მოკლე დროში დაძლევა მოითხოვს გარკვეულ კაპიტალურ დაბანდებებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი თვლის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მცირე ენერგეტიკის დაჩქარებული განვითარების რეალურ გზას წარმოადგენს არსებული მცირე ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციისა და ახლის მშენებლობაზე ლიცენზიების გაცემის დაჩქარება, ისეთი ნორმატიული აქტების მიღება რომლებიც ხელს შეუწყობენ კერძო კაპიტალის, უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების დაბანდებას ენერგეტიკის ამ სფეროში.

საკუთარი მოხმარების მთლიანი ან ნაწილობრივი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ისეთი ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება, რომელიც წაახალისებს სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მოაწყონ მცირე სიმძლავრის ენერგეტიკული ობიექტები, პირველ რიგში რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გათვალისწინებით, მცირე ჰიდროელექტროსადგურები.

მცირე ენერგეტიკის გეგმაზომიერი სისტემატური განვითარების მიზნით, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ასპექტების გათვალისწინებით, საჭიროა შემუშავდეს ცალკეულ სახეობათა ენერგეტიკული რესურსების ათვისების გენერალური სქემები, რომლებიც საფუძვლად დაედება რესპუბლიკაში მცირე ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობას და შესაძლებელს გახდის ამ მიმართულებით განხორციელდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა.

რესპუბლიკაში მცირე სიმძლავრის ენერგეტიკული ობიექტების ფართო მასშტაბით და დაჩქარებული ტემპით მშენებლობის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს შეიმუშაოს რესპუბლიკის არატრადიციული ენერგიის წყაროების რესურსების გამოყენების გენერალური სქემა.

2. „საქენერგოს“ დეპარტამენტმა უზრუნველყოს რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების გენერალური სქემის შედგენა.

3. მცირე სიმძლავრის ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა ძირითადად განხორციელდეს ადგილობრივი კერძო კაპიტალის, უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის გზით, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოთა დაფინანსების ხარჯზე.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ისეთი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კერძო კაპიტალის, უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების ფართოდ მოზიდვას მცირე სიმძლავრის ენერგეტიკული ობიექტების მოწყობის დასაჩქარებლად.

5. მცირე სიმძლავრის პრიორიტეტული ენერგეტიკული ობიექტების აღდგენა-რეკონსტრუქციისა და ახლის მშენებლობის სამუშაოთა გაფართოების და დაჩქარების მიზნით მესაკუთრეებისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველწლიურად გამოიყოს შეღავათიანი გრძელვადიანი მიზნობრივი სესხები, მათ გამოყენებაზე სათანადო კონტროლის დაწესებით. პრიორიტეტული ობიექტების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს მცირე სიმძლავრის ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაზე ლიცენზიების გაცემა, ხოლო მათ მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა — „საქენერგოს“ დეპარტამენტს.

მცირე ენერგეტიკული ობიექტების პროექტების კომპლექსური ექსპერტიზისათვის საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან შეიქმნას მოწვეულ სპეციალისტთა საექსპერტო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შევლენ სამინისტროში შემავალი შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტების, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს და იმ რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, სადაც შენდება ენერგეტიკული ობიექტები.

7. საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრომ მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი მცირე ენერგეტიკული ობიექტებისათვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობათა გამოშვების უზრუნველსაყოფად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.**

ქ. თბილისი. 1993 წლის 1 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1 და 3 ნომინალის კუპონების გამოშვების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების მიმოქცევის პერიოდში დაბალი ნომინალის კუპონების უკმარისობის გამო მოსახლეობასთან ნაღდი ანგარიშსწორების პროცესში შეიქმნა გარკვეული სიძნელეები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში გამოშვებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1 და 3 ნომინალის კუპონები.

2. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 29 მარტის 246 დადგენილებით გათვალისწინებული პირობები გავრცელდეს 1 და 3 ნომინალის კუპონებზეც.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.**

ქ. თბილისი. 1993 წლის 1 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგი საინფორმაციო ლექტორიუმი გაიმართება 4 ივნისს 16 საათზე მთავრობის სახლის საკონფერენციო დარბაზში.

საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზაციის მიმდინარეობასა და პერსპექტივებზე ისაუბრებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ბატონი ავთანდილ სილაგაძე.

ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, რომლებიც არ არიან ლექტორიუმის წევრები და სურვილი აქვთ დასწრების, გთხოვთ დაგვირეკოთ 98.59.07; 98.23.46.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვის ცენტრი

თენგიზ სიგუამ მიიღო გერმანელი ბიზნესმენები

2 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა შეხვდა გერმანელ ბიზნესმენებს კლაუს იურგენ ჰოფს და ჰერბერტ ბოსენბერგს, რომლებიც საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად ჩამოვიდნენ.

როგორც გერმანელმა სტუმრებმა აღნიშნეს, მათ განზრახული აქვთ, შექმნან საქართველო-გერმანიის ერთობლივი საწარმოები, ერთობლივი ქართულ-გერმანული ბანკი, ერთობლივი ფირმა, რომელიც ტვირთის ტრანსპორტირების საკითხს მოაწესრიგებს, გარდა ამისა, ცნობილი გერმანული ფირმა „ფროზენიერი“ მზად არის დაეხმაროს ერთ ჩვენს საავადმყოფოს საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. ორგანიზაცია მოაწყობს სამედიცინო პერსონალის სტაჟირებას გერმანიაში. გერმანელ ბიზნესმენებს განზრახული აქვთ, გახსნან საქართველოში სამედიცინო ცენტრი დიალიზით მკურნალობისათვის.

გარდა ამისა, როგორც ბატონმა ჰოფმა აღნიშნა, მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ჰამბურგის ერთ-ერთ მსხვილ ფირმასთან, რომელსაც სურს საქართველოში გახსნას სავაჭრო ცენტრი. ამავე დროს, იგი შუამავლობასაც გაუწევს ჩვენს ბიზნესმენებს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

თავიანთი ხალხის მტრები

— **ასე** უწოდა აფხაზ სეპარატისტებს საქინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ ჯიბუტთან ინტერვიუში საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა, გენო ადამიამ, როცა შეეხო დღევანდელ, არცთუ ისე სახარბიელო სიტუაციას აფხაზეთის საომარი მდგომარეობის ზონაში.

— აფხაზმა სეპარატისტებმა, — თქვა მან, — წლების განმავლობაში მიზანმიმართული ანტიქართული იდეებით მოწამლეს თავიანთი ხალხის ნაწილი. მათ არამცთუ საფუძველი, საბაბიც კი არ ჰქონდათ დაპირისპირებოდნენ ქართველებს. ალბათ, ჩვენც ვართ დამნაშავე, რომ ისინი ყოველმხრივ პრივილეგირებული იყვნენ და უფრო მეტი მოითხოვეს. მოითხოვეს აფხაზეთიდან — საქართველოს სისხლხორცეული ნაწილიდან ქართველთა წასვლა, შექმნეს აფხაზური ჯარი, მოისურვეს ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე აფხაზის დანიშვნა, დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნა, ხან რუსეთთან, ხან ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციასთან გაერთიანება, ქართულ მიწაზე ყოველგვარი ქართულის უარყოფა... თავიანთი ამ ზრახვების განსახორციელებლად დაუკავშირდნენ შინაურ და გარეშე მტრებს, რუსეთის რეაქციულ ძალებს და მათი იმედით ომი გააჩაღეს.

აფხაზ სეპარატისტთა და რუსეთის რეაქციული ძალების განზრახვა დღეს მთელმა მსოფლიომ იცის და თვით რუსეთის დემოკრატიული ძალებიც წინ აღუდგნენ ავის მსურველთა ჩანაფიქრს. სწორედ დემოკრატიული ძალების მიერ იყო მიღებული გასული წლის 3 სექტემბერს მოსკოვში აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საბოლოო აქტი, დაგომისის ხელშეკრულება. ამ აქტებს აფხაზთა „ლიდერები“ სიტყვით კი აღიარებდნენ, მაგრამ მაშინვე არღვევდნენ. ჩვენ არც ერთი მოლაპარაკება, კომუნიკე, ხელშეკრულება, არ დაგვირღვევია. იმ უბედურებათა შორის, რომლებიც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს, ისიც არის, რომ ერთად გაზრდილი აფხაზი და ქართველი ახალგაზრდები — ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, შერეული ოჯახების წევრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდეს და ერთმანეთს ახოცინებენ. ამაზე მეტი საშინელება ისტორიას არც ახსოვს. დღეს ყველაფერი ეს ცხადი გახდა აფხაზი ხალხისათვის და... ჭეშმარიტი აფხაზები გმობენ ყოველგვარ მსგავს ქმედებას, აფხაზი ერის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ საკუთარი ხალხის მოღალატეებს, ამბიციებს აყოლილ სეპარატისტებს. მათ იციოდნენ, რომ ოთხმოცათასიან ერს არ ძალუძს 4-მილიონიანი ერის დამარცხება. და, რაც მთავარია, უსამართლო ომს გამარჯვება არ უწერია. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ გუდაუთის დაჯგუფებამ რეაქციული ძალების იმედით, რომელთაც შეპირდნენ ქართულ მიწას, ქართველთა საცხოვრებელს, დაგვიწყო ომი. ესე იგი, აფხაზები გვებრძვიან, რუსეთის რეაქციული ძალების, დაქირავებული ჯარისკაცების იმედით.

აფხაზი ხელმძღვანელები სოხუმიდან არავის არ განუდევნია. ისინი თავიანთი ხალხისაგან მალულად გაიპარნენ გუდაუთაში და ის აფხაზი, რომელიც მათ არ გაჰყვა, მტრად გამოაცხადეს. საღად მოაზროვნე აფხაზები სოხუმში დარჩნენ, მათ მიმართ ქართველებს არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამთ, ერთმანეთთან ვიყავით ჩვეულებრივ დამოკიდებულებაში, მაგრამ არძინბამ და მისმა თანამზრახველებმა ქართველთა და აფხაზთა ტრადიციულ მეგობრულ დამოკიდებულებას წყალი შეუყენეს. თან იმუქრებოდნენ, რომ სოხუმს ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან დაბომბავდნენ და აიძულებდნენ სოხუმელებს გაცლოდნენ ქალაქს, სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს.

ქართველი ერი არასოდეს ყოფილა აფხაზი ხალხის მტერი. ხალხთა შორის შუღლის გამღვივებლებმა პასუხი უნდა აგონ საკუთარი ერის, კანონის წინაშე. აფხაზი ხალხის ახლად მოვლენილი მოამაგე, ლიდერი და თეორეტიკოსი, ზურაბ აჩბა აცხადებს, აფხაზეთი რუსეთიაო. ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, სვანეთი და სხვა რეგიონები 200 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. გამოდის, რომ მთელი საქართველო, როგორც სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, რუსეთისა ყოფილა.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს ჯარის ნაწილები, მათ შორის 23-ე მექანიზებული ბრიგადის სახალხო ლაშქარი, სახელდახელოდ შეიქმნა. მკერდით, საკუთარი სიცოცხლის ფასად აღვუდექით აფსუათა ჯარისკაცებს, გუდაუთელ ხელისუფალთა მიერ წინასწარ დაქირავებულ გადამთიელებს.

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, თავდადებისა და თავგანწირვის უამრავი მაგალითი გვაქვს. ფრონტზე დაღუპული ყოველი მებრძოლი გმირია. ამა წლის 14 მაისს მოსკოვში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრის დროს მიღებული კომუნიკეს საფუძველზე 20 მაისიდან გუმისთის ფრონტზე შეწყდა მძიმე ტექნიკის ხმა, ტყვიამფრქვევების, არტილერიის ცეცხლის დაშენა, რაც მომავალში ომის ღირსეულად დამთავრების სიმპტომია. აფხაზ სეპარატისტებს ეს არ მოეწონათ და 19 მაისს, შუადღისას ყველა სახის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს ქართულ პოზიციებს გუმისთაზე. საღამოსკენ კვლავ დაუშინეს არტილერიის ცეცხლი, „გრადის“ ჭურვები, 21 საათიდან კვლავ დაიბომბა სოხუმი „გრადის“ ტიპის რეაქტიული დანადგარებით. დაიღუპნენ და დაიჭრნენ ადამიანები, დაინგრა შენობები.

ქართული მხარე მტკიცედ იცავდა შარშანდელი 3 სექტემბრის ხელშეკრულებას. ცხრა თვის მანძილზე ერთხელაც არ გადავსულვართ შეტევაზე, მომხდურთა იერიშებს, მოულოდნელ შეტევებს ვიგერიებდით. 270 დღეა ჩვენი მეომრები ერთსა და იმავე ადგილას დგანან. კიდევ ვუფრთხილდებით მოტყუებულ აფხაზ ხალხს, მათ გენოფონდს, ჩვენ რომ დიდსულოვნად არ მოვქცეულიყავით, დიდი ხნის წინათ მივადგებოდით საქართველოს საზღვარს — მდინარე ფსოუს ნაპირებს.

დღეს გუმისთის გაღმა მხრიდან კვლავ გაისმის ავტომატის ხმა, გრუხუნებენ ტრაქტორები, თხრიან, აგებენ რკინაბეტონის სანგრებს. როგორც ჩანს, აფხაზ სეპარატისტებს ხელს არ აძლევთ მშვიდობა, ისინი არ ფიქრობენ თავიანთი ხალხის ბედზე.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის

ერთობლივი კომუნიკე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური მოწვევით 1993 წლის 27-28 მაისს, შესაბამისად, 1372 წლის 6-7 ხორდადს ჰიჯრით, საქართველოში იმყოფებოდა ირანის ისლამური რესპუბლიკის მაღალი რანგის სამთავრობო დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის, მისი აღმატებულების, ბატონი ალი აქბარ ველაიათის მეთაურობით.

ვიზიტის დროს ბატონი ალი აქბარ ველაიათი და მისი თანმხლები პირები შეხვდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს — პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ბატონ თენგიზ სიგუას, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს.

მოლაპარაკების მსვლელობისას, რომელმაც ურთიერთნდობისა და კეთილგანწყობის ვითარებაში ჩაიარა, დადასტურდა, მზადყოფნა, თანამშრომლონ გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, მსოფლიოსა და რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად.

აზრთა ურთიერთგაცვლის შემდეგ გამოითქვა შეშფოთება უკანასკნელ ხანს რეგიონში მიმდინარე პროცესების გამო, რომელნიც საშიშროებას უქმნიან საერთაშორისო მშვიდობას. საქართველოს რესპუბლიკა და ირანის ისლამური რესპუბლიკა გააერთიანებენ ძალისხმევას არსებული კონფლიქტების, მათ შორის ყარაბაღის დიალოგისა და პოლიტიკური მეთოდებით გადასაჭრელად. რეგიონის ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, არსებული საზღვრების შეცვლის მცდელობათა აღსაკვეთად, მშვიდობისა და უსაფრთხოების დასამყარებლად, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს მათ ქვეყნებს შორის კავშირების მნიშვნელობა რეგიონში დადებითი ხასიათის ძვრების მისაღწევად. საქართველოს მხარე მიესალმა ამ მიმართულებით ირანის სამშვიდობო ქმედებას.

მხარეები, ითვალისწინებენ რა მათ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გლობალურ მნიშვნელობას, კერძოდ, ევროპა-აზიის სატრანზიტო „დერეფნის“ შექმნის საქმეში, ადასტურებენ ირანს, საქართველოს, რეგიონის სხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოების საჭიროებას და ხაზს უსვამენ მის მნიშვნელობას რეგიონში სტაბილურობის დამყარების საქმეში. მხარეები არსებულ შეთანხმებათა საფუძველზე, ყოველმხრივ გააფართოებენ ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ ურთიერთობებს. აღინიშნა, არსებული შეთანხმებების დროული რეალიზაციის საქმეში ორმხრივი კონსულტაციებისა და შეხვედრების სარგებლობა.

დასასრულს, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი კომუნიკე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა მტკიცე საფუძველს ემყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინეთი. ძირი — „ჩინ" მოდის ძველი ჩინეთის ერთ-ერთი სამეფოს — ცინ-ის სახელიდან.

ეს ქვეყანა მოსახლეობის რაოდენობით (1.036,04 მილიონი, 1984 წ.) და ფართობით (9,6 მლნ. კმ²) მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩინურად — ჭუნხუა ჟენმინ გუნხეგო) დედაქალაქ პეკინში 10 მილიონი მაცხოვრებელია (გარეუბნებიანად).

ოფიციალური ენაა ჩინური, რომელიც განეკუთვნება ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახს (იყოფა 7 ძირითად დიალექტურ ჯგუფად). უძველესი წერილობითი ძეგლები განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარს.

დამწერლობაში გამოყენებულია იეროგლიფები. ნიშანთა საერთო რაოდენობა 50 ათასს აღწევს. ამჟამინდელ დამწერლობაში (თანამედროვე სტილი — ქაი შუ „სანიმუშო დამწერლობა") გამოიყენება 4-7 ათასი იეროგლიფი.

ეროვნული დღესასწაულია რესპუბლიკის გამოცხადების (1949 წ.) დღე — 1 ოქტომბერი. ოფიციალური კალენდარი — გრიგორიანული. ფულის ერთეულია იუანი.

ჩინეთში მოქმედებს 1982 წელს მიღებული კონსტიტუცია. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება. თავმჯდომარესა და მოადგილეს ირჩევენ 5 წლის ვადით. დასავლეთ ჩინეთში იცის ხანგრძლივი და ცივი ზამთარი, ცხელი და მოკლე ზაფხული. უდიდესი მდინარეა იანძი (5.000 კმ. სიგრძისა), ხუანხე (4800 კმ.) და სიძიანი (2.000 კმ.).

ჩინურად იანძი (იანძიძიანი) ნიშნავს ოკეანის ძეს (ვაჟი), ხუანხე (ხუან — ყვითელი, ხე — მდინარე) — ყვითელ მდინარეს, სიძიანი კი დასავლეთის მდინარეს.

პეკინი (ბეიპინი) ჩრდილოეთის დედაქალაქს ნიშნავს, შანხაი კი — ქალაქი ზღვის წინ.

რა ვიცით ძველ ჩინეთზე?

ზოგი რამ თანამედროვე მსოფლიოს უძველესი მრავალრიცხოვანი ერის წარსულიდან

ჭანგო-ს პერიოდში (V-III ს. ს.) ჩინელმა ასტრონომებმა შეადგინეს კაცობრიობის ისტორიაში ვარსკვლავთა პირველი კატალოგი, რომელშიც 800-მდე მნათობი შეიტანეს.

ასტრონომმა ჭან-ხენმა (78-130) შექმნა ცის პირველი გლობუსი და შეიტანა მასში 2500 ვარსკვლავი. მანვე გამოიგონა სეისმოგრაფი, რომელიც აღრიცხავდა არა მარტო ბიძგებს ნიადაგში, არამედ მიწისძვრის მიმართულებასაც.

ჩინელებმა გამოიგონეს თოფის წამალი, ქაღალდი, ტუში, წერისათვის აუცილებელი თმის ფუნჯი. ჩინეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც გამოუშვა ქაღალდის ფული.

ძველი აღმოსავლეთის ხალხთა სამედიცინო მეცნიერებაში დიდი ადგილი უჭირავს ჩინურ მედიცინას. ჩინეთში უძველესი დროიდან იცოდნენ ჩხვლეტით მკურნალობა (აკუპუნქტურა) მოწვით მკურნალობა (მოქსა) და სხვა.

დაახლოებით სამი ათასი წლის წინ გაჩნდა პირველი საავადმყოფოები. თანდათან შეიქმნა სპეციალისტები (თერაპია, ქირურგია, დიეტოლოგია), სახელოვანმა სწავლულმა ბიან-ციაომ პირველმა დაიწყო პულსის გასინჯვა და პალპაციის გამოყენება, მანვე პირველად იხმარა საანესთეზიო საშუალებები (ნარკოტიკები) ქირურგიული ოპერაციის ჩატარების დროს. მეცნიერმა მედიკოსმა გუნმა პირველმა დაიწყო ავადმყოფობის ისტორიის შედგენა — „ჩანაწერები გამოკვლევისა და მკურნალობის".

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ჩინეთში უკვე შედგენილი იყო სამედიცინო ლიტერატურის კატალოგი, რომელიც ოცდათექვსმეტ ტრაქტატს ითვლიდა.

ქირურგი ხუა ტო (141-208) აკეთებდა ოპერაციებს თავის ქალაზე, გულმკერდისა და მუცლის ღრუებში. ექიმმა ვან-შუ-ხემ (210-285) პირველმა დაწერა ათტომიანი შრომა პულსის შესახებ. მედიკოსმა გე-ხუნმა (III ს.). პირველმა მიუთითა ბრონქიალური ასთმის მკურნალობაზე ეფედრის ალკალოიდით (ეფედრინი), აღწერა ჩიყვისა და ყვავილის სიმპტომები და მკურნალობის წესები.

502 წელს გამოვიდა მსოფლიოში პირველი ფარმაკოპეა (შვიდტომეული). იგი შეიცავს 730 სახის მცენარეული წამლის აღწერილობას. ეს ფარმაკოპეა შექმნა 22 ფარმაცევტისაგან შემდგარმა კომისიამ მანამდე არსებულ ბალახეულ სამკურნალო ტრაქტატთა თავმოყრისა და შევსების საფუძველზე.

610 წელს ჩინელმა სწავლულმა ცაო იუან-ფანმა დაწერა სამედიცინო წიგნი „ჭუ-ბინ-იუან-ხოუ-ძუნ-ლუნ", სადაც აღწერილია რაქიტი, დიზენტერია, შავი ჭირის ჭირკვლოვანი ფორმა, კეთრი და იქვე ნაჩვენებია მათი მკურნალობის წესები. ამავე ხანაში ჩინეთში იწყება ყვავილის აცრა (ვრცლად იხ. ვ. გიორგაძე, ლ. სანიკიძე. — ძველი მსოფლიოს სამედიცინო ქრონიკები).

ჩინეთის შესახებ უამრავი ცნობა დაგვიტოვეს ევროპელმა მოგზაურებმა, მეცნიერებმა, სწავლულებმა, ზოგიერთი მათგანი ასე გამოიყურება:

ჩინელებს აკვირვებდათ ევროპელთა ჩვევა: შეხვედრისას ქუდის მოხდა, ხელის ჩამორთმევა, კოცნა: ჩინეთში ხომ დედებიც კი არასდროს კოცნიან შვილებს.

აქ მიუღებელი იყო შეკითხვა ცოლ-შვილის ჯანმრთელობის შესახებ, სიამოვნებდათ საუბარი ასაკის თაობაზე. მოხუცებს ჩვეულებრივ ასე ეკითხებოდნენ — „როგორ არის თქვენი პატივცემული კბილები?"

ჩინელებს მშობლების საოცარი პატივისცემა ჰქონდათ. ყოფილა შემთხვევები, რომ შვილს უთხოვია სიკვდილმისჯილი მამის მაგიერ იგი დაესაჯათ.

ჯარში მიდიოდნენ მხოლოდ უვარგისები და ზარმაცები. ჩინელებს აქვთ გამოთქმა: „კარგი რკინისაგან არ ჭედენ ლურსმანს, კარგი ადამიანებისაგან არ გამოჰყავთ ჯარისკაცები". ბრძენთა გამონათქვამებში აღნიშნულია, რომ „ომის მოყვარული დასჯის ღირსია. ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ მას შეუძლია შეკრიბოს ჯარი და აქვს ბრძოლის გამოცდილება, უდიდესი დამნაშავეა".

ჩინელები შეხვედრისას ხშირად მიმართავენ ერთმანეთს „მიირთვით თუ არა დღეს ბრინჯი?" — ბრინჯი ხომ აქ მთავარი საკვებია.

ჩინელები ჭამენ ძალიან ცოტა ხორცს, დამოწმებულია, რომ მთელ რიგ პროვინციებში საჭმელად იყენებდნენ შავი კატისა და ძაღლის ხორცს. მაგალითად, პროვინცია შანდუნგი ცნობილი იყო თავისი ძაღლებით.

სასმელებიდან განსაკუთრებით აფასებდნენ ბრინჯის არაყს.

ჩანგლების შემოღებამდე ხმარობდნენ ხის ან ძვლის ჩხირებს.

სადილობა ყოველთვის ჩაითა და ტკბილეულით იწყებოდა. იშვიათად ხმარობდნენ მარილსა და ცხიმს. კერძებში არ იყენებდნენ ძროხის რძესა და კარაქს. მიღებული იყო მხოლოდ ქალის რძე. არის ცნობები, რომ ბაზარზე ქალის რძე ძროხისაზე უფრო ძვირად ფასობდა.

ჩინეთში თაყვანს სცემდნენ გველსა და მელას.

კანონით მსახურთა, მსახიობთა, ჯალათთა, მეციხოვნეთა და დალაქთა შთამომავლებს უფლება არა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელ გამოცდებში. არის ცნობა, რომ 1898 წელს ქალაქ ხანკოუში გამოცდებზე ყურადღება მიიპყრო ვიღაც ახალგაზრდამ, რომელმაც განაცვიფრა გამომცდელები და მას მიანიჭეს სამეცნიერო ხარისხი. მაგრამ როცა გამოირკვა, რომ მისი პაპა დალაქი ყოფილა, მას მაშინვე გაუუქმეს ხარისხი. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია ქალაქის სადალაქოებში, გაიფიცა სამი ათასი დალაქი.

ჩინელი მეცნიერის მთავარი მორთულობა იყო სათვალე, მიუხედავად იმისა, სჭირდებოდა თუ არა, და გრძელი ფრჩხილები თითებზე, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ის ფიზიკურად არ შრომობს და მთელ დროს მეცნიერებას ანდომებს.

ჩინელთა სამგლოვიარო ფერია თეთრი. თეთრ სამოსს არ იშორებენ ასი დღის მანძილზე. ასე რომ, იგი ჭოლოს შავდება. საერთოდ ტალახი და ჭუჭყი ჩინეთში მწუხარების ნიშანი იყო.

დაკრძალვისას ყველაზე ძვირი ჯდებოდა კუბო, რის გამოც მას ხშირად სიცოცხლეშივე იმარაგებდნენ. შვილი ცდილობდა დაგროვილი ფულით შეეძინა კუბო, რათა საპატიოდ დაეკრძალა მშობლები, ხშირად შვილები მშობლებს დაბადების დღეზე საჩუქრად კუბოებს მიართმევდნენ.

ყველაზე დიდ დღესასწაულად ახალი წელი ითვლება. ზოგჯერ იგი მთელი თვის მანძილზე გრძელდებოდა...

ასე იყო ძველ ჩინეთში. ბევრი რამ ისტორიას ჩაბარდა. დღეს კი ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, კულტურული, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაა.

სულიკო ნუცუბიძე.

• • •

სურათზე: ხუთი დრაკონის პავილიონი. პეკინის ბეიჰაის პარკი.

საჭიროა საგანგებო ღონისძიებები

თუნდაც ნაწილობრივ როგორ გამოვასწოროთ უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა?

დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ საბაზრო ურთიერთობისა და პოლიტიკური შესვლა-შემოსვლის ყველა ატრიბუტი, როგორიცაა საკუთრების ფორმების ძირეული შეცვლა, პრივატიზაცია, ზღვარგადასული და ყოველგვარ კონტროლს მოკლებული, ე. წ. ლიბერალური ფასები, კვების პროდუქტების უმკაცრესი დეფიციტი, მძაფრი ეთნიკური კონფლიქტები სისხლისმღვრელი შეტაკებებით, დივერსიები, ტერორისტული აქტები და სხვა მრავალი უბედურება, უაღრესად მძიმე, არასტაბილური პოლიტიკური ვითარების ფონზე, ერთბაშად დაატყდა თავს ჩვენს ხალხს, რომელიც ელემენტარულად არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მზად ასეთი უმძიმესი გამოცდისათვის.

იმდენად მოუმზადებლად და სტიქიურად გამოცხადდა (დიახ, გამოცხადდა), საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რომ მაღალხარისხოვანი და უხვი პროდუქციის ნაცვლად, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის, ცარიელი სათავსოები და დახლები შეგვრჩა ხელში.

მოსახლეობის გარკვეულ ფენებში გაჩაღდა დიდი კონკურენცია არა იმაზე, ვინ უფრო მაღალხარისხოვან პროდუქციას აწარმოებს და გააჯერებს ბაზარს ამ ნაწარმით, არამედ იმაზე, ვინ უფრო თავაშვებულ ფასებს დააწესებს, ორჯერ უკვე გაყიდულ და მესამე პირის ხელში მოხვედრილ პროდუქციაზე.

ქაოსი დაეუფლა კატასტროფის კარზე მისულ ქვეყნის ეკონომიკას და თანდართულმა უმკაცრესმა ინფლაციამ ის ფაქტობრივად უმართავი გახადა

• • •

დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ მრავალ, ურთულეს პრობლემას შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია — მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემაა, რაშიც თავისი გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობამ უნდა თქვას.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა ჩვენმა სოფელმა მიწების პრივატიზაციით დაიწყო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწას კონკრეტული მესაკუთრე თუ პატრონი უნდა გასჩენოდა.

დღეს უკვე თითქმის აქსიომად ჟღერს, რომ ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წყობის პირობებში, შრომითი საქმიანობის საფუძველთა საფუძველს მატერიალური დაინტერესების პრინციპი წარმოადგენს, რომლის უმაღლესი გამოხატულებაა კერძო საკუთრება.

მიწის რეფორმის საკითხებზე მიღებულ საქართველოს მთავრობის პირველივე დადგენილებით პირად საკუთრებაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთები მათ მფლობელებს კერძო საკუთრებაში დაუკანონდათ. ამით მიწების პრივატიზაციის მთავარი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა შესრულდა, თუმცა ეს იყო დიდი საქმის მხოლოდ დასაწყისი.

მიწის რეფორმის გატარება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მას თან სდევს სოფლად არსებული სტრუქტურული ურთიერთობების გარდაქმნა, ნგრევა და ამ გარდაქმნის პროცესში ახლის ძიება. პრივატიზაცია რომ უდარღვევლად არ ჩატარდებოდა და შეცდომები იქნებოდა, არავის ეეჭვებოდა. ჩვენ ხომ გაუკვალავი გზით მივდიოდით, გაუკვალავ გზას კი, მიუხედავად დროის უმკაცრესი დეფიციტისა, ყოველმხრივ შესწავლა სჭირდება, რათა ხიფათს (თანაც, გამოუსწორებელს) არ გადაეყარო. 1991 წლის 21 მაისს (ჯერ მიწების პრივატიზაცია არ იყო დაწყებული), გაზეთ „რესპუბლიკაში" ჩვენ ვწერდით: „უპირველესად უნდა ჩატარდეს საქართველოს მიწების უმკაცრესი პასპორტიზაცია (ინვენტარიზაცია), რომლის შემდგომი ეტაპი იქნება ამ მიწების კადასტრის დამტკიცება, ანუ მიწების აღწერა, შეფასება, როგორც აგრონომიული ისე სხვა თვალსაზრისით". სამწუხაროდ, ეს აუცილებელი ღონისძიება არ ჩატარდა და, როგორც ბოლოდროინდელი განცხადებებიდან ჩანს, თურმე აუცილებელი ყოფილა მიწების ინვენტარიზაციის ჩატარება, კადასტრის შედგენა და სხვა მრავალი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

მიწის რეფორმის კანონის შესწორებულ ვარიანტში, რომელიც 1992 წლის მარტში გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მიწის რეფორმის ფონდში პირველ რიგში გამოიყოფა: „სოფლის მიმდებარე ნაკვეთები მრავალწლიანი ნარგავების ფართობების ჩათვლით, აუცილებლობის შემთხვევაში კი — მარცვლეულის, კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების სამექანიზაციო ფართობები" (დაუკვირდით, რომელ რაიონებს ეხება), და შემდეგ: — „სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებზე, საცდელ სადგურებზე, ექსპერიმენტულ მეურნეობებზე, მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე-საჯიშე მეურნეობებზე, მეცხოველეობის კომპლექსებზე და საბაზრო კომბინატებზე უვადო სარგებლობით მიმაგრებული მიწებიდან მიწის რეფორმის ფონდში გამოიყოფა ის მიწები, რომლებიც არ ემსახურება მოცემული მეურნეობის ძირითადი საწარმოო პროგრამის შესრულებას".

ამ დოკუმენტის პრესაში გამოქვეყნებისთანავე დაიწყო რაღაც წარმოუდგენელი. სოფლის მოსახლეობის მოქმედება აბსოლუტურად უმართავი გახდა. მათ დაარბიეს და მიიტაცეს ათეული წლობის წინათ საცდელ ნაკვეთებზე გაშენებული ხეხილის ბაღები, ვენახები, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებით ათვისებული, დათესილი და დარგული ჯიშთა გამოცდის ფართობები, მეცხოველეობის კომპლექსებზე მიმაგრებული მიწები, მეხილეობის, მევენახეობის, მეციტრუსეობის სახელმწიფო მეურნეობების მაღალმოსავლიანი ბაღები და პლანტაციები. იმ დროს, როცა სახელმწიფოს ძალიან უჭირდა და ძირითადად ჰუმანური დახმარებით ითქვამდა სულს, ხელიდან გამოეცალა დიდძალი დოვლათი, რომელიც ყაირათიანი მოვლისა და სწორად წარმართული აგრარული პოლიტიკის პირობებში, საბაზრო ურთიერთობის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი უნდა ყოფილიყო.

აუნაზღაურებელი ზარალი განიცადეს მეცხოველეობის კომპლექსებმა და მეფრინველეობის ფაბრიკებმა, უმიწოდ დარჩნენ რა, ბევრი მათგანი საკვები ბაზის გარეშე დარჩა, გაუქმდა და შეწყვიტა საქმიანობა. დაიწყო ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის კატასტროფული შემცირება, გაუქმებული კომპლექსების (და არა მარტო გაუქმებულის) დაშლა-ძარცვა. ამ პროცესმა ისე ღრმად შეტოპა, რომ დაუყოვნებლივ თუ არ განხორციელდა გადამწყვეტი ღონისძიებები, ბოროტება და დანაშაული დროზე თუ არ აღიკვეთა, შესაძლოა მან ეპიდემიური ხასიათი მიიღოს და უმართავი გახდეს, ნგრევა ხომ უფრო იოლია, ვიდრე შენება.

მიწების პრივატიზაციაში დაშვებული უხეში შეცდომებისა და დამახინჯებების შესახებ მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტმა დროულად მოახსენა მთავრობას. მთავრობის მხრივ რეაქციამ არ დააყოვნა. დავალება მიეცა საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტის ხელმძღვანელობას რათა დაუყოვნებლივ აღეკვეთათ მიწების პრივატიზაციის საქმეში არსებული დამახინჯებანი. თავის მხრივ, კომიტეტმაც დააგზავნა ადგილებზე შესაბამისი წერილები, მაგრამ წერილებმა საქმეს ვეღარ უშველეს, უკვე გვიან იყო, წერილი ხომ კანონს ვერ შეცვლის, მიტაცებული აღარავინ დააბრუნა, მოპარულსა და ამოძირკულს აღარაფერი ეშველა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დარღვევები ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება და, რაც მთავარია, აღარ გამეორდება.

• • •

მიწების პრივატიზაციაში დაშვებულმა შეცდომებმა და დამახინჯებებმა სერიოზული სიძნელეები შექმნეს ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიწოდების საქმეში (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), და რაც მთავარია, დიდად გაართულეს მარცვლეულის, განსაკუთრებით კი თავთავიანი კულტურების წარმოების პრობლემა.

ცნობილია, რომ თავთავიანი კულტურების მოვლა-მოყვანაში მიღწეული იყო თითქმის ასპროცენტიანი მექანიზაცია. ამიტომ თავთავიანი კულტურები ითესებოდა ისეთ ფართობებზე, სადაც მექანიზაციის გამოყენების სრული შესაძლებლობა არსებობდა, ცხადია, თუ ეს მიწები დავარიგეთ თითოროლა ჰექტრებად, ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა ვავფიქრა, რომ ერთსა და ორ ჰექტარზე ვინმე ხორბალს დათესავდა, როგორი ანაზღაურებაც უნდა მიეცა სახელმწიფოს (როგორც ამას ზოგიერთები გვთავაზობენ), რათა მერე ნამგლით მოემკა და კევრით გაელეწა. უბრალო, ელემენტარული ანგარიში გვიჩვენებს, რომ დღეს, ნებისმიერი ბოსტნეული კულტურა თუ კარტოფილი ერთი ჰექტარიდან ათჯერ და უფრო მეტ მოგებას მისცემს მის მეპატრონეს, ვიდრე ხორბალი.

პოზიცია

მაშასადამე, მარცვლეულ კულტურებს უნდა აწარმოებდნენ მსხვილმა, საბაზრო ურთიერთობის კანონებით მომუშავე სახელმწიფო მეურნეობებმა, კოლექტიურმა მეურნეობებმა, სადაც მეცხოველეობის განვითარებასაც მიეცემა ფართო ასპარეზი, მსხვილმა ფერმერულმა მეურნეობებმა თუ ასეთები იქნებიან დაფუძნებული დიდ ფართობებზე.

თვალსაჩინოდ უნდა გავუფრთხილდეთ დედოფლისწყაროს, სიღნაღისა (საქართველოს პურის ბეღელს) და ზოგიერთი სხვა რაიონების მიწებს, რომლებიც ჯერ არ დაქუცმაცებულა და სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია მექანიზაციის ფართოდ გამოყენებითა და, მცირე დანახარჯებით უპირველესი მოთხოვნილების პროდუქციის — ხორბლის წარმოება

• • •

როგორ დამთავრდა 1992 წელი, რა შევიტანეთ სახელმწიფოს ბეღელში, რის პატრონები ვყავით?

მართალია, ციფრების წერა და კითხვა ბევრს არ უყვარს, მაგრამ რა გაეწყობა, ციფრების გარეშე არ არსებობს მეცნიერება და ანალიზი, უანალიზოდ კი ძნელია მოვლენებში ღრმად ჩახედვა და შეფასება.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს პროგნოზით, 1992 წელს, ვალდებულებით სახელმწიფოს უნდა მიწოდებოდა: ჩაის ნედლეული ფოთოლი 390 ათასი ტონა, ფაქტობრივად მიეწოდა 167,8 ათასი ტონა; ყურძენი — 400 ათასი ტონის ნაცვლად — 144,6 ათასი ტონა (კერძო სექტორმა ყურძნის მიწოდების დავალება შეასრულა 11 პროცენტით); ხილი — 380 ათასი ტონის ნაცვლად — 33,2 ათასი ტონა (აბსოლუტური უპატრონობა), კერძო სექტორმა ხილის მიწოდების დავალება შეასრულა მხოლოდ 9 პროცენტით; ციტრუსოვანები — 192 ათასი ტონის ნაცვლად — 46 ათასი ტონა; ეთერზეთოვანი კულტურები — 29,6 ათასი ტონის ნაცვლად — 7,9 ათასი ტონა; თამბაქო —12,1 ათასი ტონის ნაცვლად — 2,4 ათასი ტონა.

ამრიგად, ბარტერული ოპერაციებისათვის სახელმწიფომ ვერ მიიღო ერთ მილიონ ტონაზე მეტი ზემოთ დასახელებული პროდუქცია. უკონტროლობისა და აბსოლუტური უპასუხისმგებლობის პირობებში მოხდა და გრძელდება ამ პროდუქციის და მასთან ერთად კომპლექსების მასობრივი დაშლა-დატაცება, რასაც (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) დიდად შეუწყო ხელი მიწების პრივატიზაციაში დაშვებულმა შეცდომებმა და დამახინჯებებმა.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა კვების მრეწველობა. გარდა იმისა, რომ საკონსერვო ქარხნები შაქრის უმკაცრეს დეფიციტს განიცდიდნენ, ამას ნედლეულის დეფიციტიც დაემატა. ქარხანას თუ არ მიეწოდა სრული ასორტიმენტის ნედლეული, ის ხომ ვერ გამოუშვებს მაღალხარისხოვან პროდუქციას, რათა დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნილება. მაგრამ, განა სრულ ასორტიმენტზეა დღეს ლაპარაკი? კვების მრეწველობის ობიექტების მიერ, 1991 წელთან შედარებით, 1992 წელს გამოშვებული იყო: ყველი ცხიმიანი — 26,2 პროცენტი, მცენარეული ზეთი — 2 პროცენტი; მოუხდელი რძის პროდუქცია — 15,9, ნატურალური ჩაი დაფასოებული — 36,3, საკონდიტრო ნაწარმი — 17,4; ხილ-ბოსტნეულის კონსერვები — 25,4, მარგარინის ნაწარმი —14,1 პროცენტი და ა. შ.

ასეთი სავალალო შედეგებით დასრულდა 1992 წელი, რომელმაც უკიდურესად მძიმე „მემკვიდრეობა" დაუტოვა მომდევნო წელს და შედეგმაც არ დააყოვნა. წლეულს პირველი მაისის მდგომარეობით, 1992 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირუტყვისა და ფრინველის ხორცის სახელმწიფოზე მიწოდების მოცულობამ შეადგინა მხოლოდ 22 პროცენტი, რძისამ — 29 და კვერცხისამ — 27 პროცენტი.

როგორ იარსებოს ქვეყანამ, თუ მას არ გააჩნია ვალუტა, არ გააჩნია ფული, არ გააჩნია პროდუქცია, რომ აწარმოოს ეკვივალენტური გაცვლა სხვა სახელმწიფოებთან, თუ არ ამოქმედდება მთელი სიმძლავრით რესპუბლიკაში უკვე ჩამოყალიბებული საგადასახადო სისტემა, რომელმაც უნდა აიძულოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სოკოებივით გამრავლებული კომერციული მაღაზიებისა და ფარდულების მფლობელები, რომ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის შექმნაში? ვფიქრობთ, საგანგებო მდგომარეობის დროს საგანგებო ღონისძიებები უნდა გავატაროთ

• • •

ბრძოლა არსებობისათვის (წმინდა ბიოლოგიური გაგებით), გარდუვალი გახდა. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა, უმოკლეს დროში ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს და გაუმჯობესდეს მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგება?

კერძო სექტორის პარალელურად, მძლავრი სახელმწიფო სექტორი უნდა შევქმნათ. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში განისაზღვროს მევენახეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის, აგრეთვე გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, წალკის, დმანისის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების ის სახელმწიფო მეურნეობები, მეცხოველეობის კომპლექსები და მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც გაუქმება-პრივატიზაციას არ დაექვემდებარებიან, იმუშავებენ საბაზრო ეკონომიკის კანონებით და როგორც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 16 იანვრის დადგენილებაშია ნათქვამი, მათი კუთვნილი მიწებიც ხელშეუხებელი უნდა დარჩეს და მიტაცებული ფართობებიც დაუბრუნდეთ.

ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის მძაფრი ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი მიზეზია, ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის კოლოსალური მასშტაბებით (ათი და ასი ათასი ტონობით) დატაცება. ამიტომ პროდუქციის დაცვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

ყველა პრობლემის გადაწყვეტას სოფლად და ქალაქად, მხოლოდ უმაღლესი დისციპლინის განმტკიცებით შევძლებთ. უმაღლეს დისციპლინას კი არაფერი აქვს საერთო დიქტატურასთან, ის მხოლოდ მაღალი კულტურის მქონე საზოგადოების ხვედრია.

ფარნაოზ დულაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის კოლეგიის წევრი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

სარედაქციო ფოსტიდან

წერილი ბატონ ზურაბ წერეთელს

ბატონო ზურაბ! გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 17 მარტს გამოქვეყნდა თქვენი და ამერიკის პრეზიდენტის ფოტოსურათი წარწერით — „ზ. წერეთელი ამერიკის პრეზიდენტს გადასცემს კოლუმბის ქანდაკების მაკეტს, რომელიც შეერთებულ შტატებში დაიდგმება". სასიამოვნო ფაქტია. ქართველი ერი ამაყობს თქვენით — ჩვენი ხალხის უბადლო მხატვარ-მონუმენტალისტით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ამშვენებს თქვენი ქანდაკებები (ტოკიო, ნიუ-იორკი, მოსკოვი, ბრაზილია, ულიანოვსკი, ადლერი...), საქართველოშიც არის თქვენი ნახელავი. მაგრამ, სამწუხაროა, რომ არქიტექტურით ასეთი მდიდარი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, განიცდიდეს მონუმენტური ხელოვნების სიღარიბეს.

დიახ, თქვენ ხოტბას ასხამთ ამერიკის პრეზიდენტს კოლუმბის ქანდაკებით. არადა, როგორ დაამშვენებდა საქართველოს მსგავსი სკულპტურული ნაწარმოები (მიჯაჭვული ამირანი, წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში, მირიანი და კურთხევის მონაწილეები, გორგასალი, დავითი, თამარის სახელოვანი ეპოქის, „ვეფხისტყაოსნის" თემები).

გაიხსენებთ, ალბათ, როცა ჩვენ ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმანეთს შევხვდით „მეოთხედი" რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ადგილსამყოფელში და ამ თემაზე გვქონდა საუბარი, თქვენ დიდი სიამოვნებით დათანხმდით წინადადებას სურვილისამებრ, ან გარეთ, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, შეგექმნათ სახალხო [illegible] ომში თამარის მიერ ლაშქართა გაცილების სკულპტურული ჯგუფი. ნამდვილად დაამშვენებდა ეს ქანდაკება [illegible], წყნეთს და კუმისის ტბორებს, თბილისის, ვაკის ქუჩების, ვარძიის ავარჯიშოს, მაგრამ უკვე სამწუხაროდ, მივედით მათ მიმართულებას, ჩვენს წინაპრებს. მართალია, ამ დიდოსტატთა ვინაობა არ ვიცით, მაგრამ ისინი მარადიულად მოიხსენიებიან თავიანთი ნაწარმოებებით, როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ აგებული ძეგლებით (პალესტინაში, თურქეთში, ათონის მთაზე... მოსკოვში), ხოლო დღევანდელობამ შემორჩა ნიშანი მათ სიდიადისა და უკვდავებისა, სამწუხაროა, რომ ჩვენს საუკუნეში მსგავსი რამე არ შეიქმნა.

ბატონო ზურაბ! ქართველი ხალხი მოელის თავის კულტურის, თავის ეროვნული სულის, მარადიულობის ამსახველი თქვენეული ძეგლების გამოდგომას. ხელოვნების მოწყალის „ხელიც მოგეკარება, რათა იყო კარგი ადამიანი", მაგრამ ისიც უკვდავება, როცა ადამიანი ეწევა, მის უმაღლეს საქართველოს და სიყვარულს — სამშობლოს, მის დიდებას, ამით ხელოვნების ძალა ახალი და ფართო სივრცე [illegible].

ვახტანგ გურგენიძე.

სისხლისღვრის შეწყვეტა აკრძალულია!

ვსვრუ

მკითხველში ქვესათაური, ალბათ, ქართული „ესერი"-ს ან რუსული „ერუ"-ს ასოციაციებს გამოიწვევს, რაც მთლად ასე არ არის. ეს უბრალო აბრევიატურაა — ვინმემ, სადღაც, ვინმეს რაღაც უთხრა, მარია დიმენტიევას სტატია „პრავდაში" სწორედ ამ პრინციპითაა აგებული.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დიდი ხანია მიგვაჩვიეს ცრუპენტელობას, ცილისწამებას და შეურაცხყოფას. ამასაც ავიტანდით, მაგრამ ის, რასაც დიმენტიევა წერს, შეურაცხყოფას და ცილისწამებას აღემატება, სტატია პირდაპირ მოწოდებაა ძმათამკვლელი ომისაკენ, საქართველოს ხელახალი ანექსიისაკენ.

ოღონდ მიზანს მიაღწიოს, დიმენტიევასთვის არ არსებობს არათუ ჟურნალისტური ეთიკის, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური ზნეობის არც ერთი ნორმა, რომელსაც ქირქილითა და ზიზღით ვერ გადაალახავს.

ადამიანში რომ მტაცებლის ქვენა გრძნობები გააღვიძო და ბოროტმოქმედებისკენ აღაგზნო, საკმარისია ორი მაცდუნებელი — ჯერ უნდა დაანახო სიმდიდრე და სილამაზე, როგორც სინამდვილეშია, („მუჟიკებო, ხედავთ რას კარგავთ, ხელი გაანძრიეთ!"), ხოლო შემდეგ შექმნა ილუზია, რომ ჩვენ გვჩაგრავენ („ნაშის ბიუტ!").

აი, რა ზღაპრული პასაჟებით იწყებს თავის სტატიას დიმენტიევა, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია აფხაზები, მაგრამ დაკვირვებით უყვარს აფხაზეთი (სტატიაში ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები თავად აფხაზთა ტრაგედიაზე):

«Если бы еще так часто не бухал «Град», здесь в Гудауте был бы, наверное, просто земной рай. С приходом весны все зацвело, наполнилось изумительным многообразием и интенсивностью красок, как бывает лишь на Кавказе с его роскошной и буйной природой...

А вот и вино. Ах, какое — чистейшая красная «изабелла», на свет — словно рубин. Ну, конечно. Лёнина рука не могла не дрогнуть и не плеснуть драгоценного напитка на землю. Да ладно тебе: где пьется, там и льется», — ხელის აუკანკალებლად მიუმღერა მაშა დიმენტიევამ ამ ეპიზოდს, ხოლო ხელიკანკალა ფოტორეპორტიორი ლიონია, ალბათ, ისე მოხიბლა ბადახშისფერი „იზაბელათი", რომ დაავიწყდა, რისთვის იყო მივლინებული აფხაზეთში. სტატიას მხოლოდ „პრავდის" არქივიდან ამოღებული ფოტო ახლავს თვალწარმტაც გუდაუთაზე.

მაშა დიმენტიევა არც ეგზოტიკურ კავკასიურ ბაზარს ივიწყებს და არც გუდაუთის კაფეებს, სადაც ისე იაფად იყიდება „სოლიანკა", რომ მოსკოველი გურმანები შურისაგან გასკდებიან.

როგორც გუდაუთაში ამბობენ თურმე:

«Если хочешь забыть про войну, иди на рынок. Как красиво свежая кавказская зелень смотрится на прилавке, да и стоит недорого — по 5—10 рублей за пучок. К ней прицениваются парнишки в военной форме с вполне славянскими лицами».

ვის მოუვიდის ნერწყვს აფხაზეთის ასეთი დასურათხატება? იცის მაშამ — ვისაც. გრძელი ენები ხომ გრძელი ყურებისთვისაა გაჩენილი და, რაკი ერთი საქმე მოათავა, მარიამ კაფეში მიაკვლია ჭეშმარიტ სლავს, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, ხელში ქარლ გუსტავ იუნგის ტრაქტატი ეჭირა. — «Батюшки, да это же у него трактат Карла Густава Юнга», — აღტაცებას ვერ მალავს მაშა (შემთხვევით არ დაუჭერინებია კორესპონდენტს თავისი უსახელო და უგვარო რესპონდენტისთვის იუნგის ტრაქტატი. არ ვიცი, პირადად დიმენტიევა, ლიბიდოს ფროიდისეულ გაგებას იზიარებს თუ იუნგისას, მაგრამ ერთი რამ ცხადია — დღეს ნაციონალ-კომუნისტებისთვის იუნგის კოლექტიური ცნობადაკარგულობის, ცნობამიხდილობის თეორია ისეთივე იარაღია, როგორც ერთ დროს მარქსიზმი იყო).

პასუხი აუცილებელია!

და აი, როგორ მოძღვრავს მრავალმილიონიან აუდიტორიას „პრავდის" პირველი გვერდიდან, ჩვენი ანონიმური ერუდიტი:

«Я здесь уже два месяца. Именно потому, что я русский. Моя страна, Россия, ведет себя как проститутка. Хотя она исторически ответственна за абхазов. Мы поддерживаем санкции против Сербии, позволяем Шеварднадзе проливать кровь в Абхазии»...

— ასეთია ჭეშმარიტი სლავის სხვაგვარი ფილოსოფია.

ეს ონანიზმი მაშას იმიტომ კი არ სჭირდება, რომ თქვას, რუსეთი „პროსტიტუტკაა", არამედ იმისთვის, რომ სისხლი აადუღოს, მათ მიერვე ჩაგდებული მტრობისა და შუღლის თესლი გააღვივოს, რადგან ყოფილი იმპერიის ცხელ წერტილებში მშვიდობის დამყარება კომუნისტ-ფაშისტთა მოძრაობის კასტრაციის ტოლფასია (ისე, კაცმა რომ თქვას, პროსტიტუციის მეტი რა გვინახავს მარიას მშვენიერ ქვეყანაში. ჩვენს ბაზრებსა და კაფეებში წანწალს, ერთი მასაც შეეხედა თავის რესტორნებსა და ოტელებში — რა ძვირად ფასობს ხორცი, რა იაფია სული. მაგრამ ჩვენ „ალკაშები", ბოსიაკები", „პოპროშაიკები", „ბომჟები" და „პროსტიტუტკები" არასოდეს გვყოლია დიდ რუს ხალხთან, რომელთანაც გვიცხოვრია და რომლის კულტურის თანაზიარნიც ვართ).

„პრავდის" კორესპონდენტს, რომელიც ისეთ ფაქიზ თემაზე წერს, როგორიცაა აფხაზეთის კონფლიქტი, ჩვენი აზრით, ელემენტარული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს არა მარტო ბაკალეა-გასტრონომია-კულინარიაზე, არამედ იმაზეც, როგორი ხელშეკრულება დაიდო 3 სექტემბერს მოსკოვში და ვინ იყო მისი ინიციატორი, რა კომუნიკე მიიღეს 14 მაისს და ა. შ.

მადლობა ღმერთს, დღეს სიჩუმეა საქართველოში და ამ სიჩუმის გარანტი, ერთის მხრივ, სწორედ რუსეთის პრეზიდენტია, მეორეს მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

მესამე ძალა

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ამ ტერმინს, მაგრამ თითქმის არასოდეს ვაკონკრეტებთ. რა თქმა უნდა, მარია დიმენტიევა ფიგურა არ არის, იგი მხოლოდ პაიკია „პრავდის" მოწითალო-მოყავისფრო დაფაზე. „პრავდა" კი, კარგად რომ გაფხიკო, იქ აუცილებლად აღმოაჩენთ ბაბურინებს, ჟირინოვსკებს, კონსტანტინოვებს, ანპილოვებს... მაშას სწორედ მათ ჩაუდეს პირში ის შხამი, რომელიც გადმოინთხა მსხვილი შრიფტით აწყობილ სათაურში:

«Весной в Абхазии, которую оставила на произвол судьбы Россия и где умирают русские женщины и русские мальчики».

აფხაზეთზე დაწერილ სტატიაში ერთი თბილი სიტყვაც არ არის ნათქვამი თვით აფხაზების მიმართ, რადგან შოვინისტ-იმპერიელ დიმენტიევას აფხაზებისთვის კი არ უნდა, არამედ იმ ბიჭუნებისთვის — «с вполне славянскими лицами».

ეჰ, შავ ზღვაში წყალია ცოტა, თორემ მეტი ოკეანეა ბინძური პოლიტიკისა.

როგორ აკეთებს ამ პოლიტიკას „პრავდა"?

«Россия не помогает, помогают люди из России»... «Чего только мы, русские не пережили в Сухуми... А сегодня, соседа, тоже русского заставили собирать трупы на минных полях. Тех, кто не грузин, и за людей-то не считают. Говорят: русские свиньи, убирайтесь вон!»

ერთი საქმე უკვე გაკეთებულია. ახლა მთავარია მოლოდინელი, ისტორიული, ამ შემთხვევაში კი — ქართველი წარმოადგინო როგორც ვამპირი, კანიბალი, სადისტი. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, თუ რუსებთან ერთად არ გაურიე უკვე ნაცადი „რუსკოიაზიჩნოე ნასელენიე".

აი რას გვიამბობს ბრძენი ოლგა:

«Соседку изнасиловали прямо на глазах ее мальчиков. А другого соседа, армянина, заставили насиловать его собственную дочь. Он сопротивлялся и за это его застрелили».

რომ იტყვიან, „ნეტ ხუდა ბეზ დობრა", თქვენ წარმოიდგინეთ, ამდენი „სოსედების" ნაცვლად, თვითონ ეს ოლგა ან, ღმერთმა დაგვიფაროს, მარია დიმენტიევა რომ დაეჭირათ სადმე ქართველებს...

«А двоих мальчиков какой-то бандит застрелил, потом сказали, что это месть за то, что Россия воюет с Грузией».

რაც ამ წერილს ვწერ, ფანჯარაში არც კი გამიხედავს, იქნებ მართლა აღარ არის საქართველოში „რუსკოიაზიჩნოე ნასელენიე"? აფსუს ჩვენი ტოლერანტობა!

დიმენტიევას არაფერში სჭირდება ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში ჩაიდინა არაკაცობა, არც რესპონდენტის ვინაობა აინტერესებს, არც სადაურობა. მისთვის მთავარია ისე მიაწყოს სიტყვები ერთმანეთს, რომ იღრინებოდნენ, იკბინებოდნენ, შხამსა და გესლს ანთხევდნენ, ხოლო ფრაზა ისე ყარდეს, როგორც გამოურეცხავი ღამის ქოთანი.

მხოლოდ ასე შეიძლება „ბოსიაკების", „ბომჟების", „პროსტიტუტკების" ნერწყვის მოდენა, პატრიოტული სულით აღნთება, სოლდაფონების გალაღება.

რას იზამ — «Жизнь продолжается, и война тоже», რადგან დიმენტიევამ აგვიკრძალა სისხლისღვრის შეწყვეტა!

* * *

მინაწერი: ბოდიშს ვუხდი მკითხველს ასეთი მწარე ბუტერბროდისთვის. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, ვერ შევძელი, დიმენტიევას შეთხზული მთელი ეს სისაძაგლე უნაკლოდ გადმომექართულებინა.

პეტმარ აბაიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

— **მყავს სამი შვილი, რომელთაგან ერთი დედაჩემის კომლში წერია, მეორე ჩემთან, მესამე კი ცალკე კომლია. გაყრილი ვართ 1992 წლის იანვრამდე. გთხოვთ მიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა ჩემს შვილს (ცალკე კომლს) მიწის ნაკვეთი?**

ციური სამუკაშვილი, ახმეტის რაიონი, სოფელი მატანი.

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილების თანახმად კომლის გაყრა ხორციელდება მასში ორი, ან მეტი სრულწლოვანი შვილის არსებობის შემთხვევაში, ამასთან ერთ-ერთი შვილი რჩება კომლის მემკვიდრედ, და მას ცალკე მიწის ნაკვეთი არ გამოეყოფა. ე. ი. თუ თქვენი სამი შვილიდან ერთი თქვენთანაა, დანარჩენი ორი კი 1992 წლის 1 იანვრამდე გამოყოფილია ცალკე, მაშინ, მათი სარეფორმო მიწებით (ცალ-ცალკე) დაკმაყოფილების მოთხოვნა კანონიერია.

— **1988 წლიდან იჯარით გამოყოფილი მქონდა მეურნეობის არამსხმოიარე ხეხილის ბაღი. მაქვს თუ არა უფლება ამ ბაღიდან მოვითხოვო სარეფორმო მიწით დაკმაყოფილება. როგორც მოიჯარე ვსარგებლობ თუ არა უპირატესი უფლებით?**

დ. ბურბანიძე, ახალციხის რაიონი, სოფელი კლდე.

— სოფლად მცხოვრებ მიწის მოიჯარეებს სარეფორმო მიწებით აკმაყოფილებენ საერთო საფუძველზე, ამასთან, შესაძლებლობის ფარგლებში. თქვენი სურვილი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სოფლის მოსახლეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

— **1992 წლის ოქტომბრიდან ვითვლებით ცალკე კომლად, ვფლობ 0,25 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. მეკუთვნის თუ არა შევსება და რა რაოდენობით?**

ბ. მუავანაძე, ბათუმი, ოძელაშვილის ქ. 11, ბინა 12.

— მოქალაქეებს სარეფორმო მიწებით აკმაყოფილებენ 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით. შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი კომლები დაკმაყოფილდებიან მიწის სარეზერვო ფონდის შექმნის შემდეგ. ე. ი. თქვენ, როგორც 1992 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში სოფლად წარმოქმნილი კომლი (განცხადებაში სოფელს არ მიუთითებთ), თქვენს სარგებლობაში უკვე არსებული 0,25 ჰექტრის დამატებით, შეიძლება გამოგიყონ სარეზერვო ფართობებიდან, თუ სოფელს ასეთი ფონდი აქვს.

— **ვარ ხუთი შვილის დედა. განაჩენით ჩვენი ოჯახი გაყოფილია 3 ოჯახად. სოფლის მიწის რეფორმის კომისია მაერთიანებს უფროს შვილთან, რომელიც სოფელში ცხოვრობს. ჩემი სურვილია ვიცხოვრო მეორე ვაჟთან, რომელიც ქალაქშია ჩაწერილი. მაქვს თუ არა ამის უფლება?**

უ. ჩადუნელი, ხაშური, სოფელი ჩუმათელეთი.

— სოფლის მიწის რეფორმის კომისიას, ქალაქად მცხოვრებ შვილთან თქვენი გაერთიანების უფლება არა აქვს. საამისოდ საჭიროა მუდმივ საცხოვრებლად ჩაეწეროთ ქალაქად მცხოვრებელ შვილთან, ან ის უნდა გადმოეწეროს თქვენთან მუდმივ საცხოვრებლად.

— **მაქვს თუ არა უფლება, საკარმიდამო ნაკვეთის შევსება მოვითხოვო იმ მიწიდან, რომელიც ადრე უკანონოდ ჩამომართვეს, და ამჟამად იგი ჩემს საკარმიდამოს ესაზღვრება?**

რუბენ მახარობლიძე, ცაგერის რაიონის სოფელი ჭაჭულეთი, გიორგი ყაშიკაშვილი, ბათუმი, გენერალ აბაშიძის ქ. № 6.

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1993 წლის 16 იანვრის დადგენილებით გაუქმებულია ყოფილ მიწათმოსარგებლეთა და მათ მემკვიდრეთა უპირატესი უფლებები. მათ აკმაყოფილებენ საერთო საფუძველზე სოფლის მოსახლეობის საერთო კრების დადგენილებით.

— **1986 წელს სოფელ მუხნარში ვიყიდე სახლი ეზოთი, რომელსაც დღემდე ვამუშავებ, სახლი ჩემს სახელზე არ არის გაფორმებული, რადგან ყოფილი მეპატრონე ფულის მიღების შემდეგ აღარ მინახავს. მართალია, არავინ არაფერს მედავება, მაგრამ ვის მივმართო, სახლისა და ნაკვეთის დასაკანონებლად?**

ნიკოლოზ ნათენაძე, თბილისი, აეროპორტი, კორპუსი 41, ბინა 16.

— თუ ნაყიდი სახლი ჯერ არა გაქვთ გაფორმებული არსებული წესით და ისევ პირველი მეპატრონის სახელზეა, მაშინ ამ სახლთან არსებულ მიწის ნაკვეთს ვერ გაგიფორმებენ.

— **ვცხოვრობ ტყიბულში. ვმუშაობ სოფლად ექიმ-სტომატოლოგად. 1990 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვალითში შევიძინე სახლის ნაწილი, ვითვლები ცალკე კომლად, ვფლობ 600 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს. მიმაკუთვნეს მესამე კატეგორია. გთხოვთ განმიმარტოთ, — რომელ კატეგორიას მივეკუთვნები და აქვს თუ არა უფლება მიწის პრივატიზაციის კომისიას, უარი მითხრას ნაკვეთის გაფორმებაზე?**

ვიოლეტა შუყილაძე, ტყიბული, გამსახურდიას ქ. 19.

— ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეებს სარეფორმო მიწებით აკმაყოფილებენ ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სოფლის მოსახლეობის საერთო კრება ამის საშუალებას გამონახავს. III კატეგორია კი თქვენთვის სწორად განუსაზღვრავთ.

როგორც ვიცით, საქართველოს პარლამენტმა ეს წელიწადი საქართველოში სათნოების წლად გამოაცხადა.

ვინაიდან ამ ფაქტმა საზოგადოებაში არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება გამოიწვია, გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით ამ იდეის ინიციატორს, პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის თავმჯდომარეს, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტს ზაზა ხიხარულიძეს.

სათნოება დაგვიფარავს...

— სათნოების წლის გამოცხადების ინიციატივის ერთ-ერთი მასაზრდოებელი ფაქტორი, — გვითხრა მან, — ის გარემოება გახლდათ, რომ ღვთის ჭეშმარიტი რწმენით ნასულდგმულევი ჰუმანისტური მსოფლმხედველობა თუ ტრადიციები ქართველი ერისათვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი, რასაც მოწმობს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური წყაროები თუ სამეცნიერო შრომები.

ორიოდე ისტორიულ ფაქტს შეგახსენებ:

ჯერ კიდევ ახ. წ-ის V საუკუნეში, დიდმა ქართველმა მოღვაწეებმა პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა იერუსალიმის ქართულ მონასტერთან დააარსეს ქსენონი („საავადმყოფო, დავრდომილთა თავშესაფარი“);

მეფე დავით აღმაშენებელმა თავისივე აშენებულ გელათის მონასტერთან გახსნა ანალოგიური დაწესებულება და თავისივე ხელით უვლიდა ხოლმე იქაურ ბინადართ;

დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის ზეობის ეპოქაში ამაშენდელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი მეათედი (!) ხმარდებოდა მოსახლეობის სოციალური თვალსაზრისით ნაკლებადუზრუნველყოფილ ადამიანთა მოვლა-პატრონობას.

ძველ ქართველებს სათნოება ესმოდათ, როგორც სახელმწიფოს ძლიერების, სიმართლისა და სიბრძნის კონცენტრირებული გამოხატულება (სულხან-საბა ორბელიანი), ამასთან, სისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი რუსთაველური პრინციპი: „რასაცა გასცემ, შენია...“.

სწორედ ამ უძველესი ტრადიციების აღორძინების ბრწყინვალე დადასტურებაა საქართველოს პარლამენტის მიერ სათნოების წლის გამოცხადება.

და ეს მაშინ, როცა ჩვენი სამშობლო თითქმის სრული პოლიტიკური ანარქიისა და ქაოსის, უცხო ძალთა მიერ ინსპირირებული ე. წ. ეთნოკონფლიქტებისა და სეპარატისტულ-კუთხურ ტენდენციათა მიმდევრების აქტიურობის, ეკონომიკური გაჩანაგებისა და მაფიოზურ-კრიმინალური ელემენტების მძლავრობის, ზნეობრივ ფასეულობათა დევალვაციისა და უკიდურესი სოციალური დაძაბულობის ხანაშია.

ჩვენი ოპონენტების გასაგონად ვიტყვი, რომ სწორედ ომისა და ნგრევის, სიძულვილისა და ცოდვის, ურთიერთგაუტანლობისა და მიუსაფრობის მძლავრობის პერიოდში უნდა ვიფიქროთ თუ ვიქადაგოთ მშვიდობასა და შენებაზე, სიყვარულსა და მადლზე, თანადგომისა და სათნოებაზე. და არა მარტო უნდა ვიფიქროთ თუ ვიქადაგოთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ვაკეთოთ კეთილი საქმენი.

— **როგორ გესახებათ სათნოების წლის გამოცხადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კონკრეტული პროგრამა და პრაქტიკული რეალიზაციის გზები?**

— პარლამენტის მიერ აღნიშნული დადგენილების მიღების მეორე დღესვე ჩვენ და მთელმა რიგმა საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ორგანიზაციებმა თხოვნით მივმართეთ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს, სათავეში ჩაუდგეს შესაბამის სახელმწიფო საორგანიზაციო კომიტეტს.

ამასთან ერთად, უნდა შეიქმნას ავტორიტეტული საზოგადოებრივი საორგანიზაციო კომიტეტი და საქართველოში ჰუმანიტარული მოძრაობის საკოორდინაციო საბჭო.

ჩვენი კომისიის მიერ შემუშავებულ „საქართველოს რესპუბლიკაში სათნოების წლის ჩატარებასთან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებათა პროგრამაში“, რომელსაც შემდგომში დახვეწს სახელმწიფო საორგანიზაციო კომიტეტი, გათვალისწინებულია საქველმოქმედო ტელემარათონის, სხვა კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სოციალური თვალსაზრისით ნაკლებადუზრუნველყოფილ ადამიანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვების, ფუნქციებშეზღუდულ პირთა შემოქმედებითი ფესტივალ-კონკურსებისა და ოლიმპიური თამაშების ორგანიზება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო რეაბილიტაციის რესპუბლიკური ცენტრის შექმნა.

აღნიშნული პროგრამა მოიცავს საერთაშორისო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო სემინარების, კონფერენციებისა თუ სიმპოზიუმების მოწვევა-ჩატარებას. ამგვარ ფორუმებზე განიხილება მოსახლეობის სოციალური დაცვის კონცეფციისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავების, სოციალური თვალსაზრისით ნაკლებადუზრუნველყოფილ ფენათა (ღვთისშვილთა, უმუშევართა, ლტოლვილთა, ხიზანთა და მისთ.) ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სტრუქტურების გარდაქმნის, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის სისტემათა დამკვიდრების აქტუალური საკითხები.

სათნოების წლის გვირგვინი იქნება ჰუმანიტარულ საზოგადოებათა მსოფლიო კონგრესის გამართვა თბილისში.

როგორც ვხედავთ, ჩანაფიქრი საკმაოდ სოლიდურია და დაინტერესებულ სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, კერძო პირთა, თითოეული ჩვენთაგანის, მთელი ერისა და ქვეყნის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

რაც შეეხება ჩვენს კომისიას, იგი თავის წვლილს შეიტანს სათნოების წლის ღირსეულად მოწყობაში, როგორც საკანონმდებლო მუშაობის, ისე პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების თვალსაზრისით.

ესაუბრა
მაია ასაკაშვილი.

გზებსა და მაგისტრალებზე

ხელსაყრელი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა რომ საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და ძლიერების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ შეიძლება იქცეს, ეს ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ; რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე მარტო სატრანზიტო ტვირთების მოძრაობით მიღებული სავალუტო შემოსავლებიც, რომ იტყვიან, ერთობ წაადგება ჩვენს ქვეყანას, მაგრამ... სავალალოდ, შარაგზის ყაჩაღები სხვაგვარად ფიქრობენ... ჩვენში შექმნილმა შინაშფოთობამ, ურთიერთდაპირისპირებამ გზა შეიარაღებული ბანდების თავაშვებული თარეშის ასპარეზად აქცია. წესიერი კაცისათვის გაუსაძლისი და უაღრესად საშიში გახდა ავტოტრანსპორტით მგზავრობა. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო იძულებული შეიქნა მიეღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“.

უკეთურთ დანდობა არ ექნებათ!

სწორედ ამ დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ძირითად ავტომაგისტრალებზე ამ მიმართულებით განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არსებული საგზაო-საპატრულო სამსახურის საშტატო დანაყოფის ბაზაზე შექმნილიყო საგზაო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ლეგიონი.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამავალი ცენტრალური ავტომაგისტრალების მიხედვით ჩამოყალიბდა საგზაო პოლიციის II ასეული შესაბამისი სამორიგეო ნაწილით, სამძებრო-საგამოძიებო სამსახურით და ინსპექტორთა გაძლიერებული შემადგენლობით, გაიზარდა სადღეღამისო სტაციონარულ საგუშაგოთა რაოდენობა, ასეულებს სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი ოპერატიული მუშაკები. პირადი შემადგენლობა აღიჭურვა ტაბელური და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ჯავშანმანქანებით...

მართალია, ასეულების სრულყოფილი მუშაობისათვის მრავალი სერიოზული პრობლემა კიდევ დარჩა გადასაჭრელი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ შეიქმნა გზებზე უკეთურთა წინააღმდეგ მებრძოლი რეალური ძალა, რომელსაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, დაევალა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულის აღკვეთა და პროფილაქტიკა, მომხდარი დანაშაულის რეგისტრაცია-აღრიცხვა, დანაშაულის გახსნა, ეჭვმიტანილ პირთა გამოვლენა-დაკავება, დანაშაულის გამოძიება, მგზავრებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და სხვა. დრო არ ითმენდა და ლეგიონი ამოქმედდა მიმდინარე წლის მარტიდან. რასაკვირველია, გზებზე საბოლოო წესრიგის დამყარებამდე ჯერჯერობით ძალზე შორი მანძილია, მაგრამ პირველი ნაბიჯებიც იმედისმომცემი გამოდგა. ასეულების სამოქმედო ტერიტორიაზე დღემდე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 180 დანაშაული, რომელთაგან გახსნილია 138, მათ შორის გამოვლენილი და დაკავებულია ათობით ყაჩაღური შეიარაღებული ჯგუფი. ამოღებულია 30 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 14 პისტოლეტი, გადაჭრილი თოფები, შაშხანები, 25 ხელყუმბარა, 900 საბრძოლო ვაზნა, 14 გატაცებული ავტომანქანა, 270 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი, 760 გრამი ანაშა, ძვირფასი ლითონები და სხვა. ამასთან, გამოვლენილია საგზაო მოძრაობის წესების 8093 დარღვევის ფაქტი.

ცხადია, ეს სამუშაო, რომ იტყვიან, მუსიკის თანხლებით არ ხდება; სპეცლეგიონის მუშაკებს ექსტრემალურ პირობებში, ხშირად კი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უხდებათ მათთან დაპირისპირება. ამის დასადასტურებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ მრავლისმეტყველ ცნობებს.

მესხეთის ასეულის თანამშრომლებმა ახალციხის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებთან ერთად დააკავეს ბანდიტები, რომლებმაც ასპინძის რაიონის სოფელ ნიჩბისთან ავტომატური იარაღის მუქარით ქ. ბათუმის საიჯარო კოოპერატივის „დიდი მინდვრის“ მუშას წაართვეს კუთვნილი „ვაზ-2106“ მარკის ავტომანქანა, 9685000 მანეთი და 365 ამერიკული დოლარი. ამოღებულია „აკმ“-სისტემის ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი ორი მჭიდით, ერთი პისტოლეტი და „ნაგანი“.

სპეცლეგიონის კავკასიონის ასეულში მოვიდნენ აღელვებული მოქალაქეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ნატახტარ-ბესლანის საავტომობილო გზის 93-ე კილომეტრზე მათი ავტომანქანების კოლონას თავს დაესხა სამხედრო ფორმიანი ავტომატური იარაღითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული 8-კაციანი ჯგუფი და წაართვეს 835 000 მანეთი.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად კავკასიონის ასეულის თანამშრომლებმა დააკავეს ეჭვმიტანილი პირები. ამოღებულია 7 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 3 ხელყუმბარა.

სპეცლეგიონის თანამშრომლებს სხვადასხვა ჯურის დამნაშავეებთანაც უხდებათ შეხვედრა. ქვემო ქართლის ასეულის მუშაკებმა გარდაბნის რაიონის სოფელ წალისყურში დააკავეს „გაზ-24“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა თბილისელი უმუშევარი ს. ფოჩხუა. ავტომანქანის მგზავრს, დუშეთის რაიონში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილის სანიტარიული დანაყოფის მეთაურს, სამედიცინო სამსახურის კაპიტანს ა. კლიუჩკოვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაჰქონდა სამხედრო აპარატურიდან მოხსნილი 2 კილოგრამამდე წონის მიკროსქემები (რომელთა გადამუშავების შედეგად მიიღება ძვირფასი ლითონი ბაჯაღლო ოქროს სახით), აგრეთვე 43 დასახელების მედიკამენტები. ამოღებულია ერთი ხელყუმბარა.

გზებზე სპეცლეგიონის სადღეღამისო საგუშაგოების შექმნისა და მათი სამოქმედო ტერიტორიების სახით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უსაფრთხოების ზონები შეიქმნა საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილისათვის. ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში, თუ მგზავრთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან პირად ქონებას ავტომაგისტრალებზე ხელყოფენ დამნაშავე პირები, ვურჩევ მიმართონ საგზაო პოლიციის უახლოეს საგუშაგოს მუშაკებს, რომლებიც დაუყოვნებლივ მიიღებენ შესაბამის ზომებს. უკეთურებს დანდობა არ ექნებათ.

ამ პატარა საგაზეთო წერილში შევეცადეთ საგზაო პოლიციის სამსახურის მოღვაწეობის ერთი მხარე წარმოგვეჩინა მისი ახლადშექმნილი დანაყოფის მაგალითზე, სტრუქტურებისა და მართვის სისტემის შეცვლის, დანაყოფების ფუნქციების გაფართოებისა, ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, შეიარაღებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ყოველმხრივ რთულ ფაზაში. რასაკვირველია, პრობლემები უამრავია, მართლაც, ძალზე ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საბოლოოდ დაიმსხვრეს არსებული სტერეოტიპები, საგზაო პოლიციასა და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორის, და დამყარდეს ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის ატმოსფერო, ურომლისოდაც დღეს შეუძლებელია ჩვენთვის დაკისრებული კეთილშობილური მისიის სრულყოფილი შესრულება, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. მჯერა, რომ საამისო ატმოსფეროც მალე შეიქმნება.

გია ჩიჩელაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის შსს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი.

საადგილმამულო კანონის პროექტის გამო

უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ დასაშვებ ზღვრამდე

„ორი ათას წლამდე მიწის ყიდვა-გაყიდვა არ დაიშვება“ — კანონპროექტის ამ დანაწესით ფაქტობრივად უარყოფილია ის, რაც ამასთანავე აღიარებულია და მის ერთ-ერთ არსებით სიახლეს შეადგენს. ეს დებულება ამსხვრევს მიწაზე საკუთრების უფლებას. საქმე ის არის, რომ საკუთრების უფლება, რომელიც მოკლებულია ქონების განკარგვის უფლებამოსილებას მისი გასხვისებით, ფაქტობრივად აღარაა საკუთრების უფლება.

რახან გაჩნდა აზრი, რომ ორი ათას წლამდე მიწა არ უნდა გაიყიდოს, ეტყობა, იგი გარკვეულმა რეალურმა სინამდვილემ დაბადა. თუ ეს სინამდვილე იძლევა მიწაზე საკუთრების სხვადასხვა ფორმის დამკვიდრების საფუძველს, მაშინ იგი უნდა შემოვიღოთ წმინდა სახით, მისი დამფუძნებელი ელემენტებით, რომელშიც გასხვისების უფლება ერთ-ერთი მთავართაგანია; თუ ეს სინამდვილე არ იძლევა მიწაზე საკუთრების უფლების შემოღების საფუძველს, მაშინ მასზე უნდა დაგვემკვიდრებინა სხვა სანივთო-ვალდებულებითი უფლებები და ასე თანდათანობით გადავსულიყავით მიწის კერძო საკუთრებაზე.

ფაქტობრივი სინამდვილე კი შეიძლება გავლენას ახდენდეს სანივთო უფლების მოქმედების ფარგლებზეც. მართლაც, ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ვერ მოგვცემს მიწაზე საკუთრების აბსოლუტურ უფლებას იმ სახით, როგორც ეს განვითარებულ კერძო სამართალშია. მეტიც, სოციალური ინტერესებით თითქმის ყველა ქვეყანაში იზღუდება მიწაზე საკუთრების უფლების ფარგლები, მაგრამ შეზღუდვებსაც აქვს თავისი ზღვარი. ზღვარს გადასვლა უკვე ახალ თვისობრიობაში გადასვლაა და ამდენად იგი ამ უფლების გაუქმების მაუწყებელია.

ჩვენში არსებული ფაქტობრივი სინამდვილე, სხვადასხვა პატივსადებ ინტერესთა გამო, მოითხოვს მიწაზე საკუთრების უფლების შეზღუდვებს დასაშვებ ზღვარამდე.

მიწების ნასყიდობის დამკვიდრება ჯერჯერობით დიდ სიძნელეებთან ერთად არასასურველ შედეგებსაც რომ მოგვცემს, ეს ფაქტია, მაგრამ ამ ფაქტისაგან თავი საერთოდ მიწის ნასყიდობის აკრძალვით კი არ უნდა დავიზღვიოთ, არამედ საჭიროა შემუშავდეს მიწის ნასყიდობის ისეთი მექანიზმი, რომელშიც ჩადებული იქნება ის ინტერესები, რამაც პროექტის შემდგენლებს მიწის ნასყიდობაზე აღებინა ხელი. შეიძლება გაძნელდეს ამ მექანიზმის შემუშავება და ასეთი ნასყიდობა, იურიდიული ფორმალიზმის თვალსაზრისით, ვერ იქნება სრულყოფილი. ეტყობა, ესეც კარგად იციან პროექტის შემდგენლებმა. როგორც ჩანს, ისინი არჩევანის წინაშე იდგნენ: საკუთრების უფლება მიწის ნასყიდობის გარეშე, თუ საკუთრების უფლება მიწის ნასყიდობის შეზღუდული მექანიზმით? მათ აირჩიეს პირველი გზა. ჩვენი აზრით კი, მისაღები იყო მეორე დანაწესი. მოკლედ, არსებული სინამდვილე გვაიძულებს, მიწაზე რა უფლებაც უნდა შემოვიღოთ, სანივთო (საკუთრება) იქნება იგი თუ ვალდებულებითი (ნასყიდობა), უნდა დავამკვიდროთ ჯერჯერობით გარკვეული შეზღუდული სახით. მაგრამ როდესაც რაიმე არჩევნის წინაშე ვდგავართ, შეზღუდული ნასყიდობა უფრო მეტადაა მოსათმენი, ვიდრე საერთოდ ნასყიდობაზე უარის თქმა და ამით საკუთრების უფლებისთვის ძირის გამოთხრა. მოკლედ, საკუთრება უნდა შეიზღუდოს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ნასყიდობის შეზღუდული მექანიზმით და არა ნასყიდობის საერთოდ უარყოფით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიწის ნასყიდობის კანონით აკრძალვის მიუხედავად, მის ფაქტობრივ ნასყიდობას მაინც ექნება ადგილი. თვით მაშინაც კი, როდესაც მიწა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა და მისი ნასყიდობა ისჯებოდა სისხლის სამართლის კანონით, მიწების ფაქტობრივ ნასყიდობას მაინც ჰქონდა ადგილი. ამას მოქალაქეები ახერხებდნენ ფიქტიური (თვალთმაქცური) გარიგების დადებით, როცა ფორმდებოდა სახლის ნასყიდობის გარიგებანი და სინამდვილეში იყიდებოდა მიწა.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სახლის ნასყიდობისას მასზე საკუთრების უფლების წარმოშობა, ხშირად დასვამს მიწის ნაკვეთზე საკუთრების წარმოშობის აუცილებლობასაც, მიუხედავად იმისა, რომ სახლზე საკუთრება შეიძლება მიწაზე საკუთრების უფლების გარეშეც.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გაგვიძნელდება იმათ მოქმედებათა გაკიცხვა, რომლებიც შეეცდებიან სასურველ მიზანს მიაღწიონ ფიქტიური გარიგებებით.

პროექტის საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მაშინ, როცა ასე თავგამოდებით იკრძალება მიწების ნასყიდობა, არაფერია ნათქვამი ნაჩუქრობის შესახებ, გამოდის, რომ მიწების ნაჩუქრობა დაშვებულია. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში ნაჩუქრობის ფორმით შეიმოსება მიწების ნასყიდობა.

საკუთრების კანონპროექტით უკვე გადაიდგა ნაბიჯი მიწების ნასყიდობის შეზღუდული მექანიზმის შემუშავების გზაზე. სახელმწიფოს ეძლევა მიწის უპირატესი შესყიდვის უფლება. ის ინტერესი, რაც მიწების ნასყიდობის საერთოდ აკრძალვაშია, ნაწილობრივ აქაა ჩადებული. უპირატესი შესყიდვის უფლების სახელმწიფოსათვის მინიჭებაც არსებული სინამდვილითაა გამოწვეული, თორემ ისტორიულად უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირთა წრეს ნათესაური ურთიერთობის ფარგლები აფუძნებდა.

მოკლედ, ჩვენი აზრით, პროექტის აღნიშნული დანაწესი უნდა შეიცვალოს. საჭიროა არა მიწების ნასყიდობაზე საერთოდ უარის თქმა ორი ათას წლამდე, არამედ მიწების ნასყიდობის შეზღუდული მექანიზმი.

ბესარიონ ზოიძე,
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ინდექსირებული და ჩვეულებრივი თანხებით თქვენი მომავლის გარანტიას შეიქმნით!

საქართველოს სახალხო
საინვესტიციო
კორპორაცია

ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ კაპიტალი
და დაუტოვოთ იგი შვილებს!

შემნახველ წიგნაკებზე აგვისტოს თვეში დარიცხული გაორმაგებული, ინდექსირებული თანხების გადმორიცხვით თქვენ გახდებით ჩვენი აქციონერი, კორპორაციის მართვის სრული უფლებით.
ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1000 მანეთი.
იყიდება 50 და 100 ათასი მანეთის ღირებულების აქციათა პაკეტები.

გახსოვდეთ!

- ფული ფულთან მიდის, ამიტომ კორპორაცია გააერთიანებს თქვენს ინდექსირებულ და ჩვეულებრივ თანხებს და შექმნის ორ მილიარდიან კაპიტალს. იგი უფრო ეფექტურად გამოიყენება ვიდრე წვრილი თანხა.
- მაღალი დივიდენდი ჩვენთან გარანტირებულია მყარი უძრავი ქონებით.
- ჩვენი აქციებით თავს დააღწევთ ფულის გაუფასურებას და რეფორმებს, რადგანაც მათ უკან იდგება უძრავი ქონება - მაღაზიები, ქარხნები, სასტუმროები - თქვენი უძრავი ქონება!

ყველა თქვენს შეკითხვაზე მიიღებთ ამომწურავ პასუხს!

ჩვენი რეკვიზიტებია: საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია;
სააქციო კომერციული ბანკი "TBC-ბანკი", საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო,
საკორესპონდენტო ანგარიში N 800161219, მფო 520018.
მის.: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 11. ტელ.: 22-04-16, 22-26-07.

ნუ დაუჯერებთ ფანტასტიკურ დაპირებებს - მას მხოლოდ ავანტიურისტები აკეთებენ.
ჩვენ არ გთავაზობთ ოქროს მთებს - ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ მომავალი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ანდრია კოზირევი შეხვდა ედუარდ ბრუნერს

რუსეთი საქართველოსა და აფხაზეთში სიტუაციის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის მონაწილე ყველა მხარისაგან ელის, რომ უფრო ენერგიულ და მიზანმიმართულ ღონისძიებებს განახორციელებენ. ეს განაცხადა დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა, როცა მიიღო საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი.

როგორც შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ე. ბრუნერმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად თვლის აფხაზეთში ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნის შესაძლებლობას. მისი ამოცანაა მიაღწიოს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტთა მოლაპარაკების შედეგად მიღწეული დაზავების განგრძობას. პრობლემა პოლიტიკურად შეიძლება გადაიჭრას, ხაზგასმით აღნიშნა მან, იმ შემთხვევაში, თუ ზავის ყველა პირობებს დაიცავს კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე. ამჟამად ამისათვის ხელშემწყობი ვითარება შეიქმნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა მაღალი შეფასება მისცა რუსეთის პოზიციას, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, რათა გამოძებნონ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები. როგორც მან თქვა, ასეთი ურთიერთმოქმედების დეტალები განიხილეს 31 მაისს მიმდინარე მოლაპარაკებაზე.

პალატამ მოიწონა

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის გეგმის პროექტი. პრეზიდენტის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის ისტორიაში გადასახადის უდიდეს ზრდას (250 მილიარდი დოლარი), ხმა მისცა 219 კანონმდებელმა, წინააღმდეგ — 213. ამ კენჭისყრას აფასებენ, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს კლინტონის ადმინისტრაციის ოთხი თვის არსებობის პერიოდში.

დინოზავრთა გაქვავებული ნაკვალევი

ჩინელმა მკვლევრებმა აღმოაჩინეს დინოზავრთა მრავალი გაქვავებული ნაკვალევი ჩრდილოეთ ჩინეთის ხებეის პროვინციის ლუანპინის მაზრის მთებში. ადგილობრივ სამეცნიერო საზოგადოებრიობას ეს ნაპოვნი სენსაციად მიაჩნია, რადგან სხვადასხვა სახეობის ქვეწარმავალთა ძველი ნაშთები უმთავრესად სიჩუანის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციაში იყო აღმოჩენილი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტებმა, წერს დღეს გაზეთი „ჟენგო ჟიბაო“, კვლევის დროს გამოიტანეს დასკვნა, რომ დინოზავრები, რომლებმაც კვალი დატოვეს, აქ ცხოვრობდნენ დაახლოებით 130 მილიონი წლის წინათ. ეს იმას მოწმობს, რომ ახლა გვალვიან პროვინციაში, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს ჩინეთის დედაქალაქი პეკინი, იმხანად ძალიან თბილი და ტენიანი კლიმატი იყო და ხარობდა ტროპიკული მცენარეულობა.

ემბარგოს გასაუქმებლად

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში რესპუბლიკელთა უმცირესობის ლიდერმა ბობ დოულმა და რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ჰენრი ჰაიდმა, ერთმა სენატში, მეორემ წარმომადგენელთა პალატაში შეიტანეს კანონპროექტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნის შესახებ. კანონპროექტები ითვალისწინებენ, აგრეთვე, ამ ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მთავრობისათვის 200 მილიონი დოლარის გამოყოფას სამხედრო დახმარების სახით, თუ რესპუბლიკა გაეროს წესდების შესაბამისად მიმართავს თხოვნით აღმოუჩინონ დახმარება, თავდაცვის მიზნით.

უორენ კრისტოფერის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა მინესოტას შტატის უნივერსიტეტში თავის გამოსვლაში, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსში „რუსეთის ასპექტს“, განაცხადა, რომ „ჩვენი ხანგრძლივი უშიშროებისათვის არავითარი ურთიერთობა არ არის იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობა“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რუსეთის ხალხის გმირული ძალისხმევა თავისუფალი საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის ასაგებად გვაძლევს ჩვენ შესაძლებლობას შევქმნათ უკეთესი და უფრო დემოკრატიული მსოფლიო“.

„დაპირებებიდან საქმეზე უნდა გადავიდნენ“

დასავლეთის ქვეყნები დაპირებებიდან დღეს უკვე საქმეზე უნდა გადავიდნენ და ბოლოს და ბოლოს რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს რეალური ეკონომიკური დახმარება უნდა აღმოუჩინონ. ასეთი აზრი გამოთქვეს ევროპის პარლამენტის დეპუტატებმა სტრასბურგში სესიაზე, რომელიც ევროგაერთიანების 12 სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოა. ორი დღის განმავლობაში დეპუტატები იხილავდნენ რუსეთსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა სახელმწიფოებში შექმნილ მდგომარეობას.

შავი ზღვის „საერთო ბაზრის“ შექმნა

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის 26-27 მაისის სხდომებზე კიევში, ყურადღების ცენტრში იდგა მონაწილე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის რეჟიმების ჰარმონიულობის საკითხი (ერთიანი საბაჟო სივრცის შექმნა, ტარიფებისა და სხვა ნორმების ურთიერთშეთანხმება). მხარეებმა განიხილეს, აგრეთვე, თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნის შესაძლებლობა ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველყოფის, სამრეწველო თანამშრომლობის პროექტები.

მთავარი ინიციატივები თურქეთის მხრიდან მიმდინარეობდა. იგი ითვლება ჯგუფის არაფორმალურ ლიდერად, რასაც ხელს უწყობს მისი, სხვა მონაწილეებთან შედარებით, უფრო განვითარებული ეკონომიკა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა.

კიევის სხდომაში მონაწილეობდნენ 11 ქვეყნის (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, უკრაინა) დელეგაციები.

საქართველოს — მეთვალყურის სტატუსი

ოთხმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ — საქართველომ, ყირგიზეთმა, მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს მეთვალყურის სტატუსი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში. ეს გადაწყდა ოთხშაბათს ჟენევაში, ამ ორგანიზაციის სპეციალურ სესიაზე. ასეთი სტატუსი მიეცა აგრეთვე ირლანდიას, სლოვაკიას, სუდანსა და ჩეხეთს. ორგანიზაციაში მიიღეს ალბანეთი, რომელიც გახდა მისი 49-ე სრულუფლებიანი წევრი.

ამ ორგანიზაციის გენერალურ დირექტორად შემდეგი ხუთი წლის ვადით სესიამ კვლავ აირჩია მისი ახლანდელი ხელმძღვანელი ჯეიმზ პერსელი (აშშ).

თითო ამბავით

● **კანადის** პარლამენტის თემთა პალატამ უმრავლესობით მოიწონა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მექსიკასთან ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შეთანხმება, მიუხედავად ოპოზიციური პარტიების გააფთრებული წინააღმდეგობისა.

● **ავსტრიის** დედაქალაქ ვენაში, კონტინენტის პოლიტიკური მოღვაწეების შეხვედრაზე განიხილავენ „დიდი ევროპის“ კომისიის შექმნის პერსპექტივას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის მრავალმხრივი კონტაქტების განვითარებას.

● **სულ** ცოტა 15 კაცი დაიღუპა, როდესაც მგზავრებით სავსე ვაგონეტმა გაანგრია ლობე და ჩავარდა ცენტრალური ჩინეთის ქალაქ ლილინის წყლის დიდ რეზერვუარში. როგორც დღეს გაზეთი „ჟენგო ჟიბაო“ იუწყება, ტრაგედია მოხდა 19 მაისს. დაღუპულთა უმრავლესობა ოქროს მაძიებლები იყვნენ, რომლებიც ლილინში ოქროს მოსაპოვებლად ჩამოვიდნენ.

● **იუგოსლავიის** საკავშირო რესპუბლიკის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის პრეზიდენტს დობრიცა ჩოსიჩს. უკანასკნელ დღეებში და წინა პერიოდში ჩოსიჩის მოქმედებისა და მის მიერ გაკეთებული განცხადების გამო გამართული ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ პარლამენტის ორივე პალატამ დაასკვნა, რომ პრეზიდენტმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, დაარღვია კონსტიტუცია და ამასთან დაკავშირებით იგი უნდა გადადგეს თანამდებობიდან.

● **ორშაბათს** გვიან საღამოს დასრულდა ჩრდილოეთ ოსეთის უშიშროების საბჭოსა და ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე მოქმედი დროებითი ადმინისტრაციის სამხედრო საბჭოს ერთობლივი სხდომა. განიხილეს ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის მთელი რიგი რაიონების ტერიტორიებზე საგანგებო წესების რეჟიმის შემოღების შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების განხორციელების მექანიზმთან დაკავშირებული საკითხები.

ტრიალ ქვეყანაზე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ ბარამიძე იმ ადამიანთა რიცხვშია, რომელთაც ჩვენი რედაქცია ქართულ მწიგნობრად, გულშემატკივრად, ანუ ჭეშმარიტ მეგობრად თვლის...

გამოგვივლის ბატონი რეზო, რომელიმეც მასალას მოგვაწოდებს, ზოგსაც გაგვიკრიტიკებს, აუცილებლად რაიმე საინტერესო იდეას „მოგვცემს" და კეთილი ღიმილით დაგვემშვიდობება.

კი გვინდოდა, ნაღდი ვერელის, ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი სპეციალისტის დაბადების დღე ცოტა უფრო ფართოდ აღგვენიშნა, მაგრამ თვითონ ბატონმა რეზომ არ ისურვა ეს. სამაგიეროდ გადმოგვცა თავისივე სულ რამდენიმე გვერდიანი მეცნიერული დაკვირვება, რომელსაც აქვე გთავაზობთ. საერთოდ კი რევაზ ბარამიძის კალამს ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია ძველი ქართული მწერლობის შესახებ, წერილები ქართული კულტურის აქტუალურ საკითხებზე.

სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთნი ღმერთობენ

ეს საოცრად პოეტური ფრაზა დიდი დატვირთულობის მატარებელია. იგი მომხიბვლელია არა მარტო მუსიკალური ჟღერადობითა და სწორედ რომ პოეტური სილაღით, არამედ ამასთანავე მასში იგრძნობა ეროვნული, წარმართული ცივილიზაციის სიდიადისა და სურნელების ძალა. ეს ფრაზა დადასტურებაა ეროვნული კულტურით შთაგონებული სიამაყის განცდისა.

ჯერ კიდევ აკადემიკოსი კ. კეკელიძე შენიშნავდა, რომ დღემდე მოღწეული „ნინოს ცხოვრება" შეიცავს უძველეს პლასტებს და მათი ძიება და გამოაშკარავება აუცილებელია, ხოლო ბატონი კორნელის ეს წარმმართველი დებულება სამუშაო პრინციპად გაიხადეს მისმა მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა და სერიოზული, ანგარიშგასაწევი შედეგებიც მივიღეთ (ქ. ცხადაძე, რ. სირაძე, ლ. მენაბდე, ზ. ალექსიძე, ა. ბოგვერაძე, ა. აბდალაძე, ვ. გოლიაძე, ლ. პატარიძე, ჯ. აფციაური, მ. ჩხარტიშვილი).

ნინოს ცხოვრებაში დადასტურებული თქმა... „სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთნი ღმერთობენ" ბევრი ფიქრის აღმძვრელი და შორს მიმავალი დასკვნების შესაძლებლობის გამომწვევია. როგორც აღვნიშნეთ, ეს ფრაზა დღეს გვხიბლავს არა მარტო იშვიათი რიტმულობითა და სიდიადით, არამედ მასში ფიქსირებულია ჩვენი აზროვნებითი სისტემის უდაოდ ანგარიშგასაწევი ფაქტი. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა კონტექსტში, რა სიტუაციაში ვეცნობით ამ ფრაზას. ჯავახეთიდან მომავალ ნინოს უნდა გაიგოს, სადაა ქართლის დედაქალაქი მცხეთა და რას წარმოადგენს იგი ვითარცა კულტურულ-პოლიტიკური ფენომენი. გზაში მას ხვდებიან მწყემსები, რომელნიც მისთვის საინტერესო კითხვას საოცარი შემართებით უპასუხებენ, რომ ჩვენ იქიდან ვართ, „სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთნი ღმერთობენ". ამ ფრაზაში ჩაქსოვილია დიდი შინაარსი და შორსმიმავალი დასკვნების შესაძლებლობას ქმნის. კერძოდ, ამ ფრაზის მთქმელთათვის აშკარაა, თუ რაოდენ სიამაყეს განიცდიან ისინი თავისი კულტურის სიდიადით, თუ რაოდენ დიდ და ღირსეულ ძალად მიაჩნიათ თავიანთი მეფეთა დინასტია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ფრაზით ხაზგასმულია დიდი აღიარება და თაყვანისცემა თავიანთი ღვთაებებისა. იმ ეპოქის საქართველოში კი თაყვანს სცემდნენ არმაზს, გაცისა და გაის. ხაზგასასმელი სწორედ ისიცაა, რომ ისინი ამბობენ არა „ღმერთი ღმერთობს", არამედ „ღმერთნი ღმერთობენო". ესე იგი მრავალღმერთობაა ფიქსირებული. აშკარაა, რომ ამას ამბობენ მოქალაქეები, რომელთაც ღრმა ეროვნული თვითშეგნებით ეძიადებათ და ეამაყებათ თავიანთი დიდი ეროვნული კულტურა, ეროვნული ტრადიცია და ეროვნულ ღვთაებათა პანთეონი ე. ი. წარმართული ეპოქის მოქალაქე იძლევა წარმართული ეპოქის ისტორიისა და კულტურის არა მარტო ფიქსირებას, არამედ ამ ისტორიისა და კულტურის გამორჩეულობასა და მასშტაბურობას უსვამს ხაზს.

წარმართული ცივილიზაციის ესოდენ ამაღლებულ რეგისტრებში წარმოჩენა და პოპულარიზაცია აბსოლუტურად გამორიცხულია შემდეგი ეპოქის აგიოგრაფის მიერ.

გვიანი პერიოდის აგიოგრაფი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიგონებდა წარმართული არომატით დატვირთულ ამ ფრაზას. საერთოდ, აგიოგრაფიაში გამოგონების ფაქტი გამორიცხულია. ის არ შედიოდა მათ შემოქმედებით პრაქტიკაში. ისინი რეალურს აღნიშნავდნენ და მათთვის სავსებით უცხო იყო გამოგონებული სიტუაციები და ფაქტები. შეიძლება ვინმემ კითხვა დასვას: როგორ, განა ეს ფრაზა წარმართული ეპოქის ლიტერატურიდანაა შესული „ნინოს ცხოვრებაშიო"? არა, ასე ნუ გავამარტივებთ და გავაბანალებთ საკითხს. აქ უფრო სერიოზული და დაუნჯებული მიდგომაა საჭირო.

ეს ფრაზა არის ერთ-ერთი **პირველი ფიქსირება** ნინოს უშუალო შთაბეჭდილებისა. ესაა ნინოს მიერ ქართულ სამყაროსთან შეხვედრის პირველი ფაქტი და ის იმდენად რეალური და ძლიერი იყო, რომ ნინოს ცხოვრების პირველმა **ჩამწერმა** საჭიროდ მიიჩნია ნინოს შთაბეჭდილების დადასტურება. ეროვნული თვითშეგნებით, იმპულსირებული ამ ფაქტით ისიცაა ხაზგასმული, რომ ნინო ველურ ატმოსფეროსა და უწიგნურთა ქვეყანაში კი არ მოდიოდა, არამედ ის მოდიოდა იმ ქვეყანაში, სადაც მაღალი კულტურა ყვაოდა და სადაც თავგანწირვით ეთაყვანებოდნენ თავიანთ მეფეებსა და ღმერთებს. სწორედ ამ სიმაღლეებთან დაპირისპირებასა და გამარჯვებაში კიდევ უფრო იკვეთება ქრისტიანული ცივილიზაციის სიდიადე და უპირატესობა. მაგრამ ასეთი განცდა წარმართული ცივილიზაციისა, ამ ცივილიზაციის არომატის შეგრძნება შეეძლო მხოლოდ იმ ეპოქის მოქალაქესა და მწერალს და არავითარ შემთხვევაში შემდგომი საუკუნეების აგიოგრაფს. აღნიშნულ ფრაზას სხვა დატვირთულობაც აქვს. თუ ეს ფრაზა ერთი მხრივ გვხიბლავს თავისი შინაგანი დინამიკითა და ფერადოვნებით, ეროვნული ღირსების აქცენტირებით, მეორე მხრივ მასში აკუმულირებულია შეფარული პოლემიკა, რომელიც შემდეგ ვლინდება და ქრისტიანობის გამარჯვებითაა დაგვირგვინებული. კერძოდ, ამ ფრაზაში ხაზგასმული და გამოკვეთილი წარმართული ცივილიზაციის და კერძოდ წარმართულ ღვთაებათა სიდიადე უკვე აშკარად ფერმკრთალდება ქრისტიანი მოაზროვნის მიერ არმაზის მსხვრევის, არმაზის დაცემის დემონსტრირებით. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნინოს ცხოვრებაში წარმოსახული ბუნების სურათი. წარმართულ კერპთა მსხვრევას თავისებურ ფონს უქმნის ბუნების სტიქიური ძალა: „მაშინ ესერა ცაჲ ქუხდა და ქუეყანაჲ იძრვოდა, მთანი კრთოდეს, ბორცუნი იმღერდეს, ზღუა დგა, წყალნი აღმართ დიოდეს". ბუნების ეს გრანდიოზული სურათი, ცისა და მიწის, წყლისა და ჰაერის თავისებური ამბოხი და სახეცვლა მაუწყებელი და მიმანიშნებელია რაღაც დიდი ცვლილებებისა, წარმართული რწმენის ნგრევა, კერპთა მსხვრევა და ახლის დაბადება ბუნების მოვლენებთან უშუალო კავშირშია წარმოდგენილი. ბუნების ამ ტიტანურ სახეცვლაში სიმბოლიზირებულია სარწმუნოებრივი, მსოფლმხედველობითი გარდატეხა, შემობრუნება. ამასთანავე, ეს დიდი მსხვრევა და ახლის დაბადება საოცარი ექსპრესიითა და დინამიკურობითაა გადმოცემული. ბუნების ფაქიზი გრძნობა, დიდი ცოდნა და ღრმა პოეტურობაა საჭირო, რომ ორიოდ სტრიქონში წარმოადგინო ბუნების ძალთა ბუმბერაზი, თავისებური დიადი სურათი. თითქოს მსოფლმხედველობრივმა რევოლუციამ გადატრიალება მოახდინა თვით ბუნებაში და ამ უკანასკნელის მხარეზე ყურადღების გამახვილება ხდება მრავლისმეტყველი დეტალით: „წყალნი აღმართ დიოდეს". ამით ხაზს უსვამს, რომ ყველაფერი უწინდელის საპირისპიროდ წარიმართა, ყველაფერი არსებითად შეიცვალა. აქ აშკარაა ქვეტექსტებში ჩაქსოვილი პაექრობა, აგიოგრაფმა არ აპატია წარმართ მოქალაქეს თავის ღვთაებით სიამაყე და შეძლო ახალი მსოფლმხედველობის დაპირისპირებითა და გამარჯვებით წარმართობის ძალმოსილების გაფერმკრთალება და დამარცხება. ეს ორი პასაჟიც დადასტურებაა არა მარტო ორი პოზიციის, ორი მსოფლმხედველობის სიდიადისა, არამედ ამასთანავე ორი ქრონოლოგიური სხვაობის, ადრეულისა და მომდევნოს ურთიერთთანამიმდევრობა და ერთ მთლიანობად ქცევა.

ასე რომ, ნინოს „ცხოვრების" უძველესი პლასტების რეკონსტრუქციის ჟამს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ აღნიშნული ფრაზა („სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთნი ღმერთობენ") ადრეული რედაქციის კუთვნილებაა, რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აკად. კორნელი კეკელიძის მოსაზრებას, რომ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში უნდა ვეძიოთ და გამოვყოთ უძველესი ფენები.

რევაზ ბარამიძე.

მენეჯერები ტურიზმისა და აგრობიზნესისათვის

1 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში დაიწყო ორგანიზაციისა და მართვის დარგის მომავალ სპეციალისტთა — გარემოს დაცვისა და დაგეგმვის დარგის მენეჯერთა მომზადების ეროვნული საერთაშორისო ცენტრის მოსწავლეთა დიპლომების დაცვა.

დიპლომი თემაზე „მანგანუმის მოპოვება, გადამუშავება და ექსპორტი" დაიცვა ქართულ და ინგლისურ ენაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა გიორგი ქავთარაძემ. მისმა კოლეგებმა — ეკონომისტმა გოჩა კერესელიძემ თავისი თემა მიუძღვნა ტურიზმის მენეჯმენტს და პერსპექტიულ დაგეგმვას, დათო მახარაშვილმა — საქართველოში ბავშვთა კვებისათვის ხილ-ბოსტნეულის კონსერვების წარმოების განვითარების პერსპექტივებს.

— საქართველოს მენეჯერთა საერთაშორისო ცენტრის ხუთი პირველი კურსდამთავრებული, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საგნის ღრმა ცოდნით და დიპლომის დასაცავად ყველაზე აქტუალური თემა ამოირჩიეს, შეერთებულ შტატებში ექვსთვიან სტაჟირებას გაივლიან არჩეული პროფესიის მიხედვით, — თქვა ცენტრის პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი სანაძემ.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გორელთა სითბო — მწერალს

ამ დღეებში გორის სახელმწიფო თეატრში დავით აღმაშენებლის საზოგადოების რეგიონულმა ორგანიზაციამ ქალაქის საზოგადოებრიობასთან ერთად შეხვედრა მოუწყო 60 წლის გურამ ფანჯიკიძეს.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ამ საზოგადოების გორის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ წიწიკაშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ჯემალ ინჯიამ, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ, სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა გედევან ხელაიამ, ამავე ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ლიანა ბახტაძემ, ჟურნალისტმა ზეინაბ მეტრეველმა, მწერლებმა ელგუჯა მაღრაძემ, ტარიელ ჭანტურიამ, გურამ გვერდწითელმა და სხვებმა.

დავით აღმაშენებლის საზოგადოების გორის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ წკრიალაშვილმა და ბამბეულის ქსოვილების საწარმოო-სამკერვალო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მერაბ ნიქარაძემ სტუმარს სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს.

შეხვედრა დასრულდა დიდი კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა კამერული გუნდი და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

გურამ პავლიაშვილი.

საბავშვო ბაღებს — ნობათად

გორის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს არ აკლიათ ფირმა „აღმაშენებლის" ზრუნვა და ყურადღება.

— ამ დღეებში, — თქვა რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ლერი პაპუაშვილმა, — ფირმის თავკაცები ამურ სამადაშვილი და სიმონ საავაშვილი ქალაქის საბავშვო ბაღებს ეწვივნენ და პატარებს უფასოდ მიუტანეს 400 ლიტრი ზეთი და 1 ტონა წიწიბურა. ფირმის ნობათი დაახლოებით 700 ათასი მანეთისაა.

მადლობა „აღმაშენებელს"!

გურამ მაზაკიძე.

დაწვეს სატელევიზიო ანძა

1 ივნისს ღამით ზესტაფონის რაიონის სოფელ კინოთში ერთ-ერთ მაღლობზე არსებული საშუამავლო ტელეანძის ნაგებობას თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები, გაკოჭეს მორიგე, ჩამოხსნეს 100 კგ წონის სპილენძის ანტენა და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს შენობას, სადაც სპეციალური აპარატურა იყო დამონტაჟებული. მოძალადეები თავისი ნადავლით მიიმალნენ. შესაბამისი სამსახურების მიერ ერთ საათში აღდგენილი იქნა ანტენა, რომელიც აკავშირებს თბილისს ქუთაისთან. მომხდარი ფაქტის გამო რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები აწარმოებენ ძიებას.

ჯენრი შარიქაძე.

ბირჟის ფილიალი წნორში

წნორში მუშაობა დაიწყო „კავკასიის ბირჟის" ფილიალმა. ჩატარდა პირველი ვაჭრობა. გასაყიდად გამოიტანეს 400 მილიონი მანეთის 120 დასახელების საქონელი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. გაიყიდა 20 მილიონი მანეთის ღირებულების ნაწარმი.

პირველი ვაჭრობა შედეგიანია. იმედია, „კავკასიის ბირჟის" წნორის ფილიალი თავის წვლილს შეიტანს ქართული ბიზნესის განვითარებაში.

ნინო ზუროშვილი.

გაცოცხლებული კუხეთი

4 ივნისს გარდაბანში იხსნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. — ახლად გახსნილი მუზეუმის მიზანია, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მექვაბიშვილმა, — საქართველოს ამ რთულ ეთნიკურად ჭრელ საზღვრისპირა რეგიონში, სრულად იქნას წარმოჩენილი საქართველოს ამ კუთხის — კუხეთის უძველესი წარსულის ამსახველი არქეოლოგიური მასალები, ისტორიული განვითარების ეტაპები, ისტორიული ადგილებისა და მოვლენების დოკუმენტური ფოტომასალები, უძველესი კუხეთის ტერიტორიაზე მოსახლე ეთნიკური ტომებისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფის ნივთები, XIX და XX საუკუნეების სოციალურ-კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამსახველი ექსპონატები, რეგიონის დღევანდელობა...

დარბაზში გამოფენილია კუხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რუკა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მისი ტერიტორია, რომელიც დღეს გარდაბნის რაიონის შემადგენლობაშია.

მუზეუმის ექსპონატები ნათლად წარმოაჩენენ, როგორ შეიცვალა რეგიონის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ვითარება საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ნაჩვენებია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეების — ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა კავშირები რეგიონის მოსახლეობასთან. სპეციალური სტენდი მიეძღვნა გარდაბნელი მებრძოლების თავდადებას მეორე მსოფლიო ომში.

გადაწყვეტილია მომავალში მუზეუმის ექსპოზიცია შეივსოს დარეჯისა და ქინძალის არქეოლოგიური გათხრების ექსპონატებით, რომელთა შემოტანაც დაწყებულია და კვლავ გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმს დიდი დახმარება აღმოუჩინეს რაიონის გამგეობამ (თავმჯდომარე ნ. მამალაძე) და რაიონის საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა. კერძოდ: ფირმა „ლილოს" დირექტორმა ა. თავართქილაძემ, გარდაბნის საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ა. ბახტაძემ, რესპუბლიკის საავტომობილო გზათა დეპარტამენტის უფროსმა გ. გოგიჩაიშვილმა და რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სამუზეუმო განყოფილების უფროსმა თ. ფირცხალაიშვილმა, გამოფენის ექსპოზიციონერმა დ. რუსიამ, გარდაბნის კოოპერატივ „ასფალტის" თავმჯდომარემ — დ. თაბაძემ და სხვებმა.

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა „საქართველოს თასის" გათამაშების ფინალური მატჩი დედაქალაქის „თბილისსა" (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ნოდარ ხიზანიშვილი) და „გაგრას" შორის. შესვენების შემდეგ მეტოქის კარში გატანილმა ორმა უპასუხო გოლმა გამარჯვება კლუბ „თბილისს" მოუტანა.

ამ საინტერესო ასპარეზობამ სტარტი გასული წლის შემოდგომაზე აიღო და მასში 1978 წელს დაბადებულთა 60 გუნდი მონაწილეობდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან.

ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მთავრდება ეროვნული ჩემპიონატები.

იტალია. ბოლოსწინა ტურში „მილანმა" ფრედ — 1:1 ითამაშა „ბრეშიასთან" და ვადამდე გაიხადა ოქროს მედლები.

საფრანგეთი. ჩემპიონთა ლიგის ახალმა ჩემპიონმა — მარსელის „ოლიმპიკმა" შინ ანგარიშით 3:1 სძლია უახლოეს მდევარს — „პარი სენ-ჟერმენს" და ზედიზედ მეხუთედ გახდა ქვეყნის უძლიერესი გუნდი.

• • •

ჰოლანდია. როტერდამის „ფეიენოორდმა" უკანასკნელ ტურში გაანადგურა „გრონინგენი" — 5:0 და მეცამეტედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

ესპანეთი. ფინიშამდე 3 ტურით ადრე „რეალისა" და „ბარსელონას" ტრადიციულ დავაში დაწინაურდნენ მადრიდელები. გასულ კვირას მათ სტუმრად ფრედ — 1:1 ითამაშეს პამპლონის „ოსასუნასთან" და 53 ქულა გაუხდათ. ამ დღეს კატალონიელები ასევე გასვლაზე დამარცხდნენ ვიგოს „სელტასთან" — 2:3 და ლიდერს 1 ქულით ჩამორჩებიან.

• • •

გერმანია. ბრემენის „ვერდერი" თუ მიუნხენის „ბაიერნი"? — ამ კითხვაზე პასუხს შაბათს მივიღებთ. ჯერჯერობით კი ორივეს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს აქტივში და ბრემენელებს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უკავიათ პირველი პოზიცია. მათ წინა ტურში 5 უპასუხო ბურთი გაუტანეს „ჰამბურგს", ბავარიელებმა კი მოკრძალებული შედეგით — 3:1 მოუგეს „ბოხუმს".

კალათბურთი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელმა ვაჟებმა დროის მცირე მონაკვეთში ზედიზედ ორი შეჯიბრება მოიგეს.

მწვრთნელის — ნუგზარ მარკოიშვილის აღსაზრდელებმა ჯერ დაუმარცხებლად დაამთავრეს ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, ხოლო შემდეგ ყველას აჯობეს „უნივერსიადა-93"-ში. აღსანიშნავია, რომ ფინალში მათ არავითარი შანსი არ დაუტოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს — 112:77.

• • •

პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გრძელდება ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირი ვაჟთა შორის. ლიტვის ძლიერმა ნაკრებმა მოულოდნელი მარცხი იწვნია ბელარუსებთან — 80:88. სხვა მატჩების შედეგები ასეთი გახლავთ: ჩეხეთი-მოლდოვეთი — 126:69, სლოვენია-ლატვია — 116:82, უკრაინა-სლოვაკეთი — 79:69, რუმინეთი-მაკედონია — 87:75, ბოსნია-ჰერცეგოვინა-ინგლისი — 112:81.

შევეწიოთ ქართველ ოლიმპიელებს!

საქართველოში ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდის, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური პროგრამების (ოლიმპიური თამაშები, კულტურული, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, სოციალური და სხვა) ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით 1993 წლის 12 ივნისს 16 საათზე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გათვალისწინებულია ოლიმპიური ტელემარათონის გამართვა. ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებით მიღებული შემოსავალი პირველ რიგში მოხმარდება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში (1993 წ. ვალისი, ჰოლანდია) და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში (1994 წ. თებერვალი, ნორვეგია) ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველყოფას.

ნავარაუდევია ტიპოგრაფიული წესით გამოიცეს კრებული, რომელშიც ისტორიისათვის დაფიქსირდება ყველა ის ორგანიზაცია თუ ინდივიდუალური პირი, რომელიც უშუალო წვლილს შეიტანს ამ კეთილშობილურ საქმეში.

გაცნობებთ საანგარიშსწორებო რეკვიზიტებს: **სააქციონერო-კომერციული ბანკის „არაგვი ბიზნეს ბანკი" № 000345016, საკორესპონდენტო ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკში № 800161510, მფო 520096, ოლიმპიური ტელემარათონი. სავალუტო: საქართველოს „ექსიმბანკი" № 670808675, მფო 805227.**

ერთად უნდა ვებრძოლოთ

მოკლე გზა,

ანუ შეხვედრის ადგილია სასტუმრო „აჭარა"

ეს დღეები ახსოვს იყო ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით, დიდი ხნის შემდეგ, პირველად ბუნებასა და ადამიანებს გუნება-განწყობილების გამოკეთება ეტყობოდათ. რა დასამალია, რომ ამ პატარა იმედის ნაპერწკლის შენარჩუნებას პოლიციის ორგანოების და თითოეული პოლიციელის საკმაოდ ორგანიზებულმა და შედეგიანმა ოპერატიულმა საქმიანობამაც შეუწყო ხელი. ასე განსაჯეთ, თუ ადრე რესპუბლიკაში დღე-ღამეში საშუალოდ 88 დანაშაული იყო რეგისტრირებული, წინა კვირაში ეს რიცხვი ხუთი ერთეულით შემცირდა. იმედის მომცემია თბილისისა და მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებლის ზრდის ტენდენციაც.

25 მაისს კრიმინალური პოლიციის ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად უვნებელყვეს საკმაოდ მოზრდილი ყაჩაღური ჯგუფი, რომლის წევრებს 100 ათასი ამერიკული დოლარის გამოძალვის მიზნით გატაცებული ჰყავდათ თბილისელი მოქალაქე. ოპერატიული ინტერესების გამო გამტაცებლებისა და გატაცებულის გვარებს ვერ ვასახელებთ.

ვინც ჩვენს პუბლიკაციებს თვალყურს ადევნებს, იცოდინება, რომ მაისი ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებათა სიმრავლით გამოირჩეოდა და ამ ხასიათის დანაშაულობებმა კრიმინალური სამყაროს რეპერტუარში კვლავ წამყვანი ადგილი დაიჭირეს. ისიც უნდა შევნიშნო, რომ თვით ყველაზე კრიმინოგენულ, მაფიოზურ ქვეყნებშიც კი ადამიანის გატაცება, მით უმეტეს, ფულის გამოძალვის მიზნით, ყველაზე არაპრესტიჟულ, უკადრის, უფრო მეტიც, სამარცხვინო „საქმიანობად" ითვლება.

ჩვენში ეს სირცხვილი არ არის...

ახლა ძნელია ამგვარი დანაშაულის მოძალების მიზეზებზე ლაპარაკი, ის კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი ელემენტების მიერ გამეტებით მოქნეულ ხმალს გაბედულად შეუტიეს და დროულად დაუხვედრეს ფარი. კრიმინალური პოლიციის სამძებრო და ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოების თანამშრომლებმა გამოავლინეს და გახსნეს ადამიანის გატაცების ყველა შემთხვევა. ზოგი პოლიციელი დამსახურებულ ჯილდოსაც მიიღებს.

7-25 მაისს ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებათა ხუთი შემთხვევა დაფიქსირდა. დღეისათვის ხუთივე გახსნილია, ყველა გატაცებული დაუბრუნდა თავის ოჯახს, ჯერჯერობით, დაკავებულია 28 დამნაშავე, რომელთა მიერ გამოძალული და გამოსაძალავად გამიზნული თანხის საერთო რაოდენობამ 18 მილიონ მანეთზე მეტი და 136 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა. ყაჩაღთა ჯგუფები, ძირითადად, ახალგაზრდულია, მათი საშუალო ასაკი 20-35 წელია; უმრავლესობა უმუშევარია, არიან სტუდენტები და სკოლის მოსწავლეებიც კი.

ახლა მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რომელთა შედეგად, ჩვენს ხელთ არსებული წინასწარი მონაცემების მიხედვით, მაისში ადამიანების გატაცებებში ეჭვმიტანილთა რიგები, ალბათ, საკმაოდ სოლიდურ შევსებას მიიღებს.

გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ დღითიდღე, დინამიკურად იზრდება დანაშაულის სკამზე მოხვედრილ სტუდენტთა რაოდენობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ ახალშექმნილ, ნაწვიმარზე სოკოებივით გამრავლებულ კერძო, კომერციულ სასწავლებლებში არც დისციპლინაა, არც მომთხოვნელობა, აღმზრდელობით მუშაობაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც, თავის მხრივ, ახალგაზრდა კაცის სწორი გზიდან აცდენის შესანიშნავ პირობებს ქმნის. ეს ნაკლოვანებანი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც კი არ არის უცხო, თუმცა იქ, შედარებით, უკეთესი ვითარებაა.

19-19 წლის სტუდენტები, რომელთაგან ერთი ბიზნესისა და მარკეტინგის სპეციალისტი უნდა გამხდარიყო, მეორე კი შამპანურისა და კონიაკის წარმოების ტექნოლოგი, თბილისელ მოქალაქე ედუარდ გვარამაძეს ორ მილიონ მანეთს სძალავდნენ. ასაკის მიუხედავად, საკმაოდ გაბედულად და მეთოდურად მოქმედებდნენ, მაგრამ, ეტყობა, ბოლო მომენტში უმტყუნათ ალღომ, ინტუიციამ, გაუთამამდნენ ბედს და „ჩავარდნენ" კიდეც. კრიმინალური პოლიციის სამძებრო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორის, პოლიციის მაიორ **ნოდარ მუჯირის** ნაამბობი, ალბათ, ვერაფერს მისცემს იმათ, ვინც ბიზნესისა და მარკეტინგის საფუძვლების შესწავლას ხვალ თანამოქალაქეების ძარცვას ამჯობინებს, მაგრამ მკითხველის ინტერესს უთუოდ გამოიწვევს:

— უცნობები ურეკავდნენ ედუარდ გვარამაძეს და ხუთ მილიონ მანეთს თხოვდნენ. ბოლოს ორ მილიონზე დათანხმდნენ... ერთხელ გვარამაძის შესაშინებლად მისი საცხოვრებლის კარის სახელურზე ხელყუმბარაც კი ჩამოჰკიდეს. ბოლო ხანში კი დაურეკეს და უთხრეს: „ამჯერად ხომ გადარჩი, მოიტანე ფული, თორემ ავაფეთქებთო".

ბატონი ედუარდი მოვიდა და განაცხადა პოლიციაში. პოლკოვნიკ მამია კობალეიშვილის, მაიორების გიორგი ანჭაფარიძის, ვალერი გაზაევის, რეზო ნადარეიშვილის და ბადრი ქაჯაიას, კაპიტან დუდუ მსხილაძის, ლეიტენანტ ნიკოლოზ ბარბაქაძის და ჩემი შემადგენლობით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი.

დათქმის შეხვედრის დრო. ფულის გადაცემა დღის 14 საათზე, სასტუმრო „აჭარაში" უნდა მომხდარიყო. მოლაპარაკების თანახმად, ფულს თითქოს ვიღაც ბავშვი წაიღებდა, მაგრამ ეს, როგორც შემდეგ გამოჩნდა, მათი „პატარა ეშმაკობა" იყო. დანიშნულ დროს მოვიდნენ გამომძალველები. ერთმა მათგანმა სასტუმროს პირველ სართულზე, ფოიეში „მაკაროვის" ტიპის პისტოლეტი გამოართვა მათთან დაკავშირებულ ახალგაზრდა კაცს (პოლიციელებმა ამ უკანასკნელს ჩხრეკის დროს ბინაში ავტომატური იარაღიც აღმოუჩინეს. სხვათა შორის, ის თბილისელია, მაგრამ რატომღაც სასტუმრო „აჭარაში" ცხოვრობს).

ამის შემდეგ შევიდნენ ლიფტში, ავიდნენ მე-16 სართულზე, მიიღეს ფულით „სავსე" პოლიეთილენის პარკი და...

ვიცი, ტრაგედიაა, როცა ახალგაზრდა კაცი, რომლის ენერგია და ძალ-ღონე ასე სჭირდება დღეს სამშობლოს, სტუდენტის სკამიდან ბრალდებულის სკამზე გადაჯდება, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც იტაცებენ, აწიოკებენ, აუთოებენ, სახურავქვეშ თუ კარის ზღურბლზე ხელყუმბარებს უწყობენ?

• • •

და მაინც მგონია, რომ ამდენი, ნაირ-ნაირი დანაშაულის მოზღვავების თავი და თავი ის აუარება იარაღია, რომელსაც ყოველგვარი წესისა და კანონის დარღვევით, უკონტროლოდ ფლობს ხალხი. საკითხავია, სანამდე შეიძლება მივიდეს განუკითხაობა და ქაოსი, რომ კაცს, არარეგისტრირებული სანადირო თოფი ან „მაკაროვი" რა არის, სახლში ქვემეხებიც კი ჰქონდეს.

კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დედოფლისწყაროში მალხაზ ბუქურის ბინაში ექვსი ახალი საავიაციო მსხვილკალიბრიანი ქვემეხი აღმოაჩინეს. ეს ქვემეხები მან თურმე სამხედრო ნაწილისაგან მიიღო და იმის შიშით, რომ ვინმეს არ გაეტაცებინა, საკუთარ სახლში ინახავდა.

დასასრულ ერთ მეტად დამაფიქრებელ ფაქტს მოგაწვდით: 24 მაისს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის შემფუთავი ქარხნის გამშვები საამქროდან ამოღებულ იქნა 4,471 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება — ხაშხაშის მარცვლების ფხვნილი.

კომენტარი მკითხველისათვის მიმინდვია...

ზაურ მაკარაძე.

გიორგი ილურიძე

გარდაიცვალა თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის ყოფილი დირექტორი, ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გიორგი დავითის ძე ილურიძე.

იგი დაიბადა 1912 წელს, გორში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. 1937 წელს დაამთავრა კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში მასწავლებლად. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ და საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

1947 წლიდან დაბრუნდა კავშირგაბმულობის ტექნიკუმში. 1958-74 წლებში მუშაობდა თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში დირექტორის მოადგილედ სასწავლო მუშაობის დარგში, ხოლო 1975 წლიდან 1988 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, კავშირგაბმულობის ტექნიკუმის დირექტორად. პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია პედაგოგიური მოღვაწეობა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ემსახურებოდა კავშირგაბმულობის დარგის სპეციალისტების მომზადების საქმეს.

ბატონ გიორგის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი ახლობლებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო; თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმი.

დაფუძნდა სააქციო-კომერციული ბანკი „საქართველოს იპოთეკური ბანკი", მისი საწესდებო კაპიტალია 200 000 000 მანეთი.
ბანკის მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 15
ტელეფონი: 29-49-87, 38-53-97, 37-03-18.

საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993/94 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია და მენეჯმენტი;
2. სამარკეტინგო და სამეურნეო სამართალი და მენეჯმენტი (იურისტ-მენეჯერი);
3. კვების მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი (ღვინის, საკონსერვო, ხორცისა და რძის, პურპროდუქტებისა და საკონდიტრო მრეწველობის, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგ-მენეჯერის კვალიფიკაციებით);
4. საფინანსო-საბანკო მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი;
5. კომერციული და საბირჟო საქმის ორგანიზაცია და მენეჯმენტი (კომერციული და სავაჭრო საქმის ორგანიზატორ-მარკეტოლოგის და საბირჟო საქმის ორგანიზატორ-მენეჯერის კვალიფიკაციებით);
6. აგროსამრეწველო წარმოების ორგანიზაცია და ბიზნესი (სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კვების მრეწველობის, აგროსერვისის ორგანიზატორ-ბიზნესმენის კვალიფიკაციებით);
7. საკურორტო და ტურისტული მეურნეობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა 086), 4 ფოტოსურათი (3×4), პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 10-დან 16 საათამდე.

აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრებით (ტესტირებით) ქართულში, მათემატიკასა და გეოგრაფიაში.

სწავლა ფასიანია. გასაუბრების ორგანიზაციისათვის აბიტურიენტი იხდის გარკვეულ საფასურს.

წარჩინებული სტუდენტები სტაჟირებაზე იგზავნებიან საზღვარგარეთ, შესაბამისი კონტრაქტების საფუძველზე (ასეთი პრაქტიკა უკვე დამკვიდრდა ინსტიტუტში).

სტუდენტებს საშუალება მიეცემათ გაძლიერებულად შეისწავლონ უცხო ენები მეორად ფაკულტეტზე.

მისამართი: თბილისი, ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქ. № 26, 150-ე სკოლის შენობა. ტელ.: 36-44-60; 36-88-78; 22-64-24 (რექტორი).

ყურადღება!
თუ გსურთ თქვენი ფირმა და თქვენს მიერ წარმოებული პროდუქცია უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეს,
დაუკავშირდით „ლიტა"-ს.

იგი შემოგთავაზებთ:
— უმაღლესი ხარისხის უცხოური წარმოების ქაღალდზე ეტიკეტების დამზადებას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ნებისმიერი პოლიგრაფიული შესაძლებლობებით (მათ შორის ტვიფვრასა და ლაკირებას).
— სპეციალურ, ამერიკული წარმოების ექვსნაირი დაცვის მქონე ქაღალდზე აქციების, ობლიგაციებისა და სხვათა მხატვრულ დამუშავება-დაბეჭდვას.
— ნებისმიერი ზომის გოფრირებული მუყაოს ყუთების დამზადებას.
ფირმა აგრეთვე შემოგთავაზებთ:
— წებოიანი ეტიკეტების დამზადებას, საწარმოს სასაქონლო ნიშნის, ემბლემის დამუშავებას, მაკეტების დამზადებას და ილუსტრირებას. სავიზიტო ბარათების და ნებისმიერი ბლანკების დაბეჭდვას, ყველა სახის პოლიგრაფიული სამუშაოების შესრულებას მაღალ დონეზე, შესაფუთი მასალის დიზაინს, გაფორმებას და დამზადებას, ყველა სახის სარეკლამო პროდუქციის დამზადებას.
გახსოვდეთ ჩვენი ფირმა თქვენი წარმატების საწინდარია.
თბილისი, ჯანაშვილის ქ. № 4 ტელ. 22-44-40. III სართული.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29,
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА